სსიპ - კოლეჯი
„გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“

2023-2024 წლის
სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

თბილისი, 2024 წელი

სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ ერთწლიანი სამოქმედო გეგმა კოლეჯის სამუშაო პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტია. სტრატეგიის შემუშავება განპირობებულია კოლეჯის პროფესიული განათლების სტრატეგიული დაგეგმვის აუცილებლობით, რათა გაძლიერდეს კოლეჯში დაწყებული ცვლილებები და შესაძლებელი გახდეს დაწესებულების მთელი სისტემის ეფექტურობის გაუმჯობესება. სტრატეგიის შემუშავება და დანერგვა მნიშვნელოვანია კოლეჯის საერთო ღირებულებების, პრინციპებისა და მიზნების მისაღწევად. ის ხელს უწყობს პედაგოგიური და ადმინისტრაციული რესურსის გაერთიანებას და ერთიან შეთანხმებულ საქმიანობას. სამოქმედო გეგმა ერთობლივი მუშაობის შედეგია. იგი მიმოიხილავს დაწესებულების ერთწლიან ხედვას, დანიშნულებას, მუშაობის მთავარ პრინციპებს, მნიშვნელოვან მიზნებსა და ამოცანებს, ასევე მათი გადაწყვეტის გზებსა და საშუალებებს 2022-2023 სასწავლო წლის პერიოდში.

2023-2024 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის განხორციელების მოქმედებათა გეგმა შემუშავდა გუნდურად, აქტიური ჩართულობით, თანამშრომლობისა და საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზის საფუძველზე, კვლევების/პროგნოზების, წინა წლი(ებ)ის სამოქმედო გეგმების შეფასების, შედეგების, ანალიზის, ანგარიშებისა და დასკვნების გათვალისწინებით და სხვა აპრობირებული მეთოდოლოგიით.

2023-2024 წლების სამოქმედო გეგმით გაიწერა დაწესებულების მიერ დასახული სტრატეგიული მიზნები და ამ მიზნების მისაღწევად განსახორციელებელი ამოცანები და აქტივობები. სტრატეგიული მიზნების მისაღწევად შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიერ ცალკეული ღონისძიებები განხორციელდა.

2023-2024 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის სამოქმედო გეგმის შესრულება ასევე საჯარო დოკუმენტია, რომლის საშუალებითაც კოლეჯი ცდილობს გაუზიაროს ყველა დაინტერესებულ მხარეს და ჩართოს ისინი კოლეჯის საქმიანობის შეფასებასა და შემდგომი სრულყოფის პროცესში.

ვინაიდან კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობა მიმდინარეობს წინა წელს გაწეული მუშაობის შედეგების გაანალიზების საფუძველზე, ძირითადი პრობლემებისა და გამოწვევების გათვალისწინებით, მომავალი მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრითა და პრიორიტეტების გამოკვეთით. ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშზე მომუშავე ჯგუფის მიერ შეფასებულ და გაანალიზებულ იქნა 2023-2024 წლის სამოქმედო გეგმის შესრულება, რომლის შედეგებსაც ეფუძნება **2024-2025 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა**.

ერთწლიანი სამოქმედო გეგმის (10.08.2023-10.08.2024) წლიური ანგარიში

2023-2024 წლების სამოქმედო გეგმით გაწერილია დაწესებულების მიერ დასახული სტრატეგიული მიზნები და ამ მიზნების მისაღწევად განსახორციელებელი ამოცანები და აქტივობები. სტრატეგიული მიზნების მისაღწევად შესაბამისი პირების მიერ განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- **ამოცანა -** *თვითშეფასების ანგარიშის მომზადება.*
- **აქტივობა - თვითშეფასების ანგარიშისთვის მასალის მომზადება, მტკიცებულებების შეგროვება.**
- **აქტივობა - სარეავტორიზაციო მასალის მომზადება, მტკიცებულებების შეგროვება.**

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით კოლეჯს მიენიჭა ავტორიზაცია 6 წლის ვადით, 2018 წლის 6 სექტემბერს, შესაბამისად, კოლეჯმა დაიწყო მორიგი რეავტორიზაციისთვის მზადება, რომლის ფარგლებშიც კოლეჯის დირექტორის დავალებითა და ხარისხის მართვის მენეჯერის კოორდინაციით, დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა დაიწყეს თვითშეფასების ანგარიშისა და სარეავტორიზაციოდ მასალისა და მტკიცებულებების შეგროვება.

- **შედეგი: შესრულდა.**

სტრატეგიული მიზანი I - შრომის ბაზრის და სტანდარტების შესაბამისი პროგრამების ჩარჩო დოკუმენტებზე დაფუძნებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, მათ შორის, სამუშაოზე დაფუძნებული, ინტეგრირებული მიდგომის სწავლების დანერგვა.

- **ამოცანა -** შრომის ბაზრის მოკვლევა.
- **აქტივობა - სახელმწიფო და კერძო სექტორის გამოკითხვა.**
- **აქტივობა - კურსდამთავრებულთა გამოკითხვა.**

კოლეჯი თავისი საქმიანობის ფარგლებში აქტიურად თანამშრომლობს როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორთან. პარტნიორი კომპანიები ჩართულნი არიან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების (პრაქტიკული კომპონენტის მიმდინარეობის), აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, პროგრამებში ცვლილების შეტანის პროცესში. ისინი მონაწილეობენ გამოკითხვებში, კვლევებში, აგზავნიან ვაკანსიებს და თანამშრომლობენ დაწესებულებასთან სხვადასხვა მიმართულებით. კოლეჯი პარტნიორობს და კერძო ბიზნესის წარმომადგენლებთან ერთად მაქსიმალურ გათვლას ახდენს მომავალში პროფესიული განათლების პოლიტიკის წარმართვაზე. პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის ფარგლებში, კოლეჯი სწავლობს სხვადასხვა სახელმწიფო თუ კერძო სექტორის მიერ ჩატარებულ კვლევას იმის თაობაზე, თუ რა პროფესიის მქონე ადამიანებზეა მოთხოვნა შრომის ბაზარზე ამა თუ იმ პროგრამის განხორციელების საჭიროების განსაზღვრის მიზნით. გამოკითხვის შედეგად გამოიკითხნენ კოლეჯის პარტნიორი კომპანიის წარმომადგენლები, რომლებმაც შეაფასეს როგორც კოლეჯთან თანამშრომლობის, ასევე პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტით განსაზღვრული კომპონენტები. გარდა ამისა, კურსდამთავრებულთა გამოკითხვის კომპონენტში შეფასდა მათი დამოკიდებულება კოლეჯის მომსახურებასა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში მიღებულ ცოდნასა და შეძენილ კომპეტენციებთან მიმართებით.

აღსანიშნავია, რომ 2023 წლის 15 ოქტომბრიდან 15 ნოემბრის პერიოდში, ა(ა)იპ - პროფესიული უნარების სააგენტომ ETF-ის მეთოდოლოგიაზე დაფუძნებით შეიმუშავა კურსდამთავრებულთა კვლევის ახალი მეთოდოლოგია და ინსტრუმენტები, რომელიც ეფუძნება აღნიშნული კვლევის დეცენტრალიზაციას და კვლევის შედეგების გამოყენებას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების შემდგომი განვითარებისთვის. 2022 წლის 103 კურსდამთავრებულიდან მინიმუმ გამოსაკითხი იყო 81, კოლეჯის მიერ გამოიკითხა - 91 კურსდამთავრებული (111%). ამ პორტალის ამოქმედების შედეგად, ყოველი წლის ბოლოს განხორციელდება წინა წლის კურსდამთავრებულთა გამოკითხვა გაეროს მიზნების შესაბამისად.

აღსანიშნავია, რომ კოლეჯის მიერ შემუშავებული კურსდამთავრებულთა კვლევის მეთოდოლოგიის თანახმად, რაც კვალიფიკაციის მინიჭებიდან 6 თვის ვადაში დასაქმების სტატისტიკური მონაცემების შეგროვებას გულისხმობს, გამოიკვეთა, რომ დასაქმებულია 51 პირი, მათ შორის პროფესიით - 21.

სახელმწიფო და კერძო სექტორის გამოკითხვის აქტივობასთან დაკავშირებით, 2023 წლის 3-6 ოქტომბრის ჩათვლით საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატის მიერ განხორციელდა კომპანიის ინსტრუქტორების გადამზადების პროგრამა, რაც მიზნად ისახავს იმ პირების კომპეტენციების გაძლიერებას, რომლებიც ჩართულნი არიან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების პროცესში.

კურსის ძირითადი თემატიკა იყო:

- პროფესიულ განათლებაში (სასწავლო პროცესში) ჩართული ინსტრუქტორების ფუნქცია მოვალეობების გაცნობა;
- სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის შესაბამისი სასწავლო მეთოდების გაცნობა და პრაქტიკაში ინტეგრირება;
- პროფესიული სტუდენტის ჩანაწერების ჟურნალის ადმინისტრირების პროცესში ჩართულობა;
- პროფესიული სტუდენტის შეფასების პროცესის დაგეგმვა და პროცესში ჩართულობა კოლეჯებთან ერთად.

- **შედეგი: შესრულდა.**

- **ამოცანა -** *მოკლევადიანი ტრენინგ-კურსების განხორციელება.*
- **აქტივობა - სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან თანამშრომლობა და პროგრამების ფარგლებში მოკლევადიანი სასერტიფიკატო კურსების ორგანიზება.**

კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურასთან. 2023 წლის მეოთხე კვარტალში, კოლეჯმა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის პროგრამის, „ისწავლე და დასაქმდი“ ფარგლებში განახორციელდა 7 მოკლევადიანი სასერტიფიკატო პროგრამა („სოციალური მედიის მართვა“, „ინფორმაციის ტექნოლოგია“, „კომპიუტერული ქსელისა და სისტემების ტექნიკოსი“, „კომპიუტერული გრაფიკოსი (რასტრული გამოსახულების შექმნა და დამუშავება)“, „სალაროს ოპერაციების განხორციელება“, „ავტომობილის შემკეთებელი ელექტროტექნიკოსი“, „ტანსაცმლის დიზანი და კერვა“, ხოლო 2024 წლის მაისი - ივლისის პერიოდში - 11 მოკლევადიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა: „ტანსაცმლის დიზაინი და კერვა“; “ამზომველ-ტოპოგრაფი (აზომვით - ტოპოგრაფიული სამუშაოების შესრულება)”; „ინფორმაციის ტექნოლოგია“, „კომპიუტერული გრაფიკოსი (რასტრული გამოსახულების შექმნა და დამუშავება)“; „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის ტექნიკოსი“; „საეჭვო და დაზიანებული (ეროვნული, უცხოური) ვალუტის გამოვლენა“, „სალაროს ოპერაციების განხორციელება“; „მსუბუქი ავტომობილის ძრავას დიაგნოსტირება“; „სოციალური მედიის მართვა“, „ავტომობილის შემკეთებელი ელექტროტექნიკოსი“; „ვებპროგრამირება-Python“; „ინტერიერის დიზაინი-3D designer“.

აგრეთვე, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და კოლეჯს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე 2024 წლის 29 იანვარიდან განხორციელდა მოკლევადიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თანამშრომელთა

გადამზადება. თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლებმა წარმატებით დაასრულეს „მსუბუქი ავტომობილის ძრავას შეკეთების"; „ავტომობილის შემკეთებელი ელექტროტექნიკოსის"; „მსუბუქი ავტომობილის დიაგნოსტირებისა" და „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის ტექნიკოსის" მოკლევადიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები. საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული ცოდნა მათ პროფესიულ საქმიანობასა და დაკისრებული მოვალეობის უკეთ შესრულებაში დაეხმარება.

- **შედეგი: შესრულდა.**

- **ამოცანა** – *პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების დაგეგმვა/განხორციელება.*
- **აქტივობა - სახელმწიფო, კერძო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან თანამშრომლობა და პროგრამების ფარგლებში სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატის გაცემა.**

კოლეჯმა 2023 წლის ივლისში სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების საბჭოს გადაწყვეტილებით მოიპოვა პროფესიული მომზადების პროგრამის, „ალუმინისა და მეტალოპლასტმასის კარების, ფანჯრების, მზის დამცავი სისტემების მონტაჟი" განხორციელების უფლება, ხოლო ა(ა)იპ - პროფესიული უნარების სააგენტოს მხარდაჭერით მოიპოვა დაფინანსება პროგრამის განხორციელების მიზნით. აღნიშნული პროგრამა განხორციელდა 2024 წლის იანვრიდან აპრილამდე და დაასრულა 5-მა მსმენელმა, რომლებმაც თეორიულ სწავლებასთან ერთად, პრაქტიკული კომპონენტი გაიარეს კომპანია „დიო"–ში.

გარდა ზემო აღნიშნული პროგრამისა, რეგისტრაცია საშემოდგომოდ განახლდება პროფესიული მომზადების პროგრამაზე, „მსუბუქი ავტომობილების დიაგნოსტირება". კოლეჯი ახალი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტების დამტკიცებისა და ამოქმედებიდან გეგმავს ახალ პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამებზე მუშაობას, ინჟინერიის, ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიებისა და ხელოვნების მიმართულებით, რომელთა ძირითადი კონცეფცია შემუშავებულია პროფესიული განათლების მასწავლებელთა მიერ.

- **შედეგი: შესრულდა.**

- **ამოცანა** – ***პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, მათ შორის, საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების, რომლებშიც ინტეგრირებულია*** **ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, დუალური პროგრამის განხორციელება, განვითარება.**
- **აქტივობა - ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროგრამების განხორციელება, მონიტორინგი და პროფესიული პროფესიული პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასება.**

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების გათვალისწინებით, სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების ფარგლებში მუდმივად ხორციელდება კოლეჯში მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგი, რომლის ფარგლებში სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირები ზედამხედველობენ სასწავლო პროცესის - ლექციების, პრაქტიკული მეცადინეობებისა და სწავლის შედეგების დადასტურების მიმდინარეობას. მონიტორინგის ჯგუფი სისტემატურად ესწრება როგორც მეცადინეობების, ისე შეფასების პროცესს. აღნიშნული აქტივობა ითვალისწინებს ჩატარებული პრაქტიკული და თეორიული მეცადინეობები რამდენად შეესაბამება მოდულით გათვალისწინებულ საკონტაქტო საათებს, თავსებადია თუ არა სასწავლო გარემო მოდულის სწავლის შედეგებთან, სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია თუ არა შესაბამისი რესურსებით (მატერიალური, საგანმანათლებლო/სასწავლო, მასალა-ნედლეული), პროგრამის მიმდინარეობისას გამოყენებული სწავლებისა და შეფასების მეთოდები არის თუ არა იდენტური მოდულში არსებულ ჩანაწერებთან. მონიტორინგის ჯგუფი ადგენს ოქმებს, სადაც აღწერილია დასწრების შედეგად გამოვლენილი გარემოებები და შეიმუშავებს სათანადო რეკომენდაციებს, რომელსაც აცნობს პროფესიული განათლების მასწავლებელს სასწავლო პროცესის უფრო ეფექტიანად და ხარისხიანად წარმართვის მიზნით.

კოლეჯში ასევე შექმნილია მუდმივმოქმედი კომისია პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების დადასტურებასთან დაკავშირებით, რომელიც აწარმოებს პროფესიული სტუდენტების სწავლის შედეგების დადასტურების დოკუმენტაციას. კომისია შეისწავლის სწავლის შედეგების დადასტურებაზე პროფესიული სტუდენტების დასწრებასა და შეფასების სტატისტიკას. ასევე კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესის თანახმად, ვალიდაციის ჯგუფი ჩართულია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში შემავალი მოდულების სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუმენის შემუშავების პროცესში. შეფასების ინსტრუმენტის ვალიდურობა მოწმდება სპეციალურად შემუშავებული ჩეკლისტით. გარდა ამისა, კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების ფარგლებში საზღვრავს ვერიფიკაციის პერიოდს, რა დროსაც მოწმდება შეფასების სისტემის ვალიდურობა, სანდოობა, გამჭვირვალეობა, სამართლიანობა და ობიექტურობა. ვერიფიკაციის ჯგუფი გამოვლენილ გარემოებებს ვერიფიკაციის დასკვნის პროექტების სახით აცნობს სასწავლო პროცესის მენეჯერს, სასწავლო პროცესის მონიტორინგის სპეციალისტსა და სასწავლო პროცესის სპეციალისტს, სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირები, თავის მხრივ, ინდივიდუალურ რეჟიმში აცნობენ შედეგებს მოდულის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებს. მიღებული უკუკავშირის საფუძველზე, ვერიფიკაციის ჯგუფი შეიმუშავებს ვერიფიკაციის საბოლოო დასკვნებს. ვერიფიკაციის დასკვნაში ასახული რეკომენდაციები შემდგომში იქნება შეფასების ინსტრუმენტებში ასახული, რაც საშუალებას იძლევა, გაუმჯობესდეს პროფესიულ სტუდენთა შეფასების პროცესი და ზოგადად, სასწავლო პროცესი.

ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში, პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების წესის თანახმად, დაგეგმილ ვადებში ხორციელდება სასწავლო პროცესში ჩართული პირების მიერ კომპლექსური დავალებებისა და პორტფოლიოების გადახედვა და პროფესიული განათლების მასწავლებლებისათვის რეკომენდაციების გაცემა, ასევე ხდება დადასტურების კომისიების მოწვევა, სხვადასხვა კოლეჯებიდან (დარგის პროფესიული განათლების მასწავლებლები და ადმინისტრაციის თანამშრომლები), რომლებიც განიხილავენ პროფესიული სტუდენტების პორტფოლიოებს. 2024 წლის ივნისის თვეში ინტეგრირებული პროგრამების 3 ჯგუფის ფარგლებში განხორციელდა ვერიფიკაციის პროცესი.

- **შედეგი: შესრულდა.**

- **ამოცანა - ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს პროგრამების ფარგლებში შემუშავებული პროფესიული უნარების განვითარების საორიენტაციო და სასერტიფიკატო კურსების განხორციელება.**
- **აქტივობა - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობა.**

ა(ა)იპ - პროფესიული უნარების სააგენტოს „სკოლის მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარების ქვეპროგრამის" ფარგლებში შემუშავებული პროგრამები (საორიენტაციო კურსები) „ინფორმაციის ტექნოლოგია" და „ტანსაცმლის დიზაინი და კერვა" განხორციელდა 19 საჯარო სკოლაში. აღნიშნული საორიენტაციო კურსი გაიარა 164 მოსწავლემ, რომელთაც კოლეჯის მიერ გადაეცათ შესაბამისი სერტიფიკატები. „სკოლის მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარების ქვეპროგრამის" ფარგლებში საჯარო სკოლებსა და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის თანამშრომლობის საფუძველზე, მოსწავლეებს შესაძლებლობა მიეცა გაცნობოდნენ დეტალურ ინფორმაციას პროფესიული

განათლებისა და პროფესიების შესახებ და მიეღოთ ინფორმირებული და გააზრებული კარიერული გადაწყვეტილება. აღნიშნული კურსების განხორციელება იგეგმება 2024 წლის შემოდგომიდან და შესაბამისი მემორანდუმები გაფორმებულია 6 პარტნიორ საჯარო სკოლასთან.

- **შედეგი: შესრულდა.**

- **ამოცანა - არსებული და ახალი ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროგრამების (მ.შ. დუალური) დანერგვა/განვითარება.**
- **აქტივობა - ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განხორციელების უფლების მოპოვება.**

ამ ეტაპისთვის, კოლეჯი ახორციელებს 13 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას:

1. „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“,
2. „გრაფიკული დიზაინის შესრულება“,
3. „ვებტექნოლოგიები“,
4. „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“,
5. „სამკერვალო წარმოება“,
6. „საფინანსო სერვისები“,
7. „საოფისე საქმე“,
8. „ბუღალტრული აღრიცხვა“,
9. „ინფორმაციის ტექნოლოგია“,
10. „ინდუსტრიული დიზაინის შესრულება“,
11. „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება“,
12. „მსუბუქი ავტომობილის ძრავას შეკეთება“,
13. „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება-განვითარების პროცესში თავისი კომპეტენციის ფარგლებში ჩართული არიან პროგრამის ხელმძღვანელები, პროფესიული განათლების მასწავლებლები და ადმინისტრაციის წარმომადგენლები. ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ფარგლებში კოლეჯი გეგმავს შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასა და უფლების მოპოვებას. იმის გათვალისწინებით, რომ ა(ა)იპ - პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ მიმდინარეობს პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტების ინტენსიური გადამუშავება, ამ ეტაპზე კოლეჯის მუშაობა ამ მიმართულებით სარეავტორიზაციო განაცხადის შეტანამდე შეჩერებულია, თუმცა, პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტების გადამუშავების პროცესში კოლეჯი აქტიურადაა ჩართული.

- **შედეგი: ვერ შესრულდა.**

სტრატეგიული მიზანი II - ადამიანური რესურსის ცოდნისა და კვალიფიკაციის ამაღლება, მათ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა.

- **ამოცანა -** *კოლეჯის ადმინისტრაციის, პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პროფესიული სტუდენტების საჭიროებათა ანალიზი.*
- **აქტივობა -** ადმინისტრაციის წევრების გამოკითხვა.

კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერმა სამოქმედო გეგმის ფარგლებში ჩაატარა დაწესებულების ადმინისტრაციული პერსონალის გამოკითხვა, რომელიც სხვადასხვა კომპონენტს, მათ შორის, კმაყოფილებისა და საჭიროებების კომპონენტსაც მოიცავდა. კვლევაში ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა შეაფასეს კოლეჯის მომსახურება, გარემო, შრომის უსაფრთხოება და სხვა. გარდა ამისა, კოლეჯმა გამოიკვლია პერსონალის საჭიროებები. კვლევის შედეგები და ანალიზი წარედგინა კოლეჯის დირექტორს შემდგომი რეაგირების მიზნით.

- **შედეგი: შესრულდა.**

- **აქტივობა - პროფესიული სტუდენტების გამოკითხვა.**

კოლეჯი მუდმივად ატარებს პროფესიული სტუდენტების გამოკითხვას, რომლის მიზანია პროგრამის მიმდინარეობისა და ადმინისტრირების ხარისხის იდენტიფიცირება. კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერმა სამოქმედო გეგმის ფარგლებში ჩაატარა პროფესიული სტუდენტების გამოკითხვა. პროფესიული სტუდენტების მიერ შეფასდა კოლეჯის მომსახურება, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კვალიფიკაცია, სახელწოდება, ხანგრძლივობა, მოდულები, მატერიალური, საგანმანათლებლო რესურსები და სხვა. ხარისხის მართვის მენეჯერმა გაანალიზა კვლევის შედეგები და შემდგომი რეაგირების მიზნით წარუდგინა კოლეჯის დირექტორს.

- **შედეგი: შესრულდა.**

- **აქტივობა -** *პროფესიული განათლების მასწავლებლების გამოკითხვა.*

კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერმა ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ფარგლებში ჩაატარა დაწესებულების პროფესიული განათლების მასწავლებლების გამოკითხვა, რომელიც სხვადასხვა კომპონენტს, მათ შორის, კმაყოფილებისა და საჭიროებების კომპონენტსაც მოიცავდა. კვლევაში მასწავლებლებმა შეფასეს კოლეჯის მომსახურება, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კვალიფიკაცია, სახელწოდება, ხანგრძლივობა, მოდულები, მატერიალური, საგანმანათლებლო რესურსები და სხვა. გარდა ამისა, კოლეჯმა გამოიკვლია პერსონალის საჭიროებები. კვლევის შედეგები და ანალიზი წარედგინა კოლეჯის ხელმძღვანელს შემდგომი რეაგირების მიზნით.

- **შედეგი: შესრულდა.**

- **აქტივობა -** *პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების მსმენელთა გამოკითხვა.*

კოლეჯი მუდმივად ატარებს პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების მსმენელებისა და განმახორციელებელი პირების გამოკითხვას, რომლის მიზანია პროგრამის მიმდინარეობისა და ადმინისტრირების ხარისხის იდენტიფიცირება. ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ კეთდება ანალიზი და შემდგომი რეაგირების მიზნით წარედგინება კოლეჯის დირექტორს. კვლევის შედეგების ანალიზის შედეგად ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი ხარისხის მართვის მენეჯერის რეკომენდაციებით ასრულებს მონიტორინგს. გამოკითხვა ხორციელდება პროგრამის დასრულების შემდეგ. დღეის მდგომარეობით კვლევა ჩატარდა ორი პროგრამის, **„ალუმინისა და მეტალოპლასტმასის კარების, ფანჯრების, მზის დამცავი სისტემების მონტაჟისა“** და **„მსუბუქი ავტომობილების დიაგნოსტირების“** ფარგლებში, ხოლო შედეგები წარედგინა კოლეჯის დირექტორს.

- **შედეგი: შესრულდა.**

- **ამოცანა - პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა.**
- **აქტივობა - ტრენინგის დაგეგმვა/სერტიფიცირება.**

პროფესიული განვითარების მიზნით კოლეჯი აქტიურად ერთვება პერსონალის ტრენინგებისა და მასტერკლასების დაგეგმვისა და ორგანიზების პროცესში, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებისა და კოლეჯის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის აქტივობების, ადამიანური რესურსის ცოდნისა და კვალიფიკაციის ამაღლების, მათ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვის ფარგლებში 2023 წლის ნოემბერ-დეკემბრის პერიოდში სასწავლო პროცესის მენეჯერის ინიცირებით ჩატარდა შემდეგი ტრენინგები:

- „შრომის უსაფრთხოება - პირველადი სამედიცინო დახმარება“ (სამიზნე ჯგუფი: კოლეჯის პერსონალი, პროფესიული პროფესიული პროფესიული სტუდენტი);
- „შრომის უსაფრთხოების დაცვა სასწავლო დაწესებულებებში - ოფისში“ (სამიზნე ჯგუფი: კოლეჯის პერსონალი, პროფესიული პროფესიული პროფესიული სტუდენტი);
- სწავლების ფსიქოლოგიური და მეთოდოლოგიური ფაქტორები;
- „ქსელისა და სისტემების ადმინისტრირება“ (სამიზნე ჯგუფი: კოლეჯის პერსონალი, პროფესიული პროფესიული პროფესიული სტუდენტი);
- „IT რისკების მართვა“ (სამიზნე ჯგუფი: კოლეჯის პერსონალი);
- „თანამედროვე ქართული ენის სალიტერატურო ნორმები“ (სამიზნე ჯგუფი: კოლეჯის პერსონალი, პროფესიული პროფესიული პროფესიული სტუდენტი);
- „შეფასების სისტემა - პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების დადასტურების შეფასება და შეფასების ინსტრუმენტის შემუშავება“ (სამიზნე ჯგუფი: კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებელი).

გარდა დაწესებულების შიდა ტრენინგებისა, კოლეჯი აქტიურად უწყობს ხელს ორგანიზაციაში დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებას სხვა კომპანიების მიერ ორგანიზებულ ტრენინგებსა ან/და ვორკშოპებში მონაწილეობის მიღებით:

- მოდულის, „მეწარმეობა“, განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები პერმანენტულად ესწრებოდნენ ა(ა)იპ - პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ დაგეგმილ პროფესიული განათლების მასწავლებელთა ტრენინგებს, რომლის მიზანი იყო ტრენერთა მომზადება „მეწარმეობის“ მოდულის shutlle მეთოდოლოგის მიხედვით სწავლების მიმართულებით;
- მოდულის, „სამოქალაქო განათლება“ განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები დაესწრნენ ტრენერთა ტრენინგს „სამოქალაქო განათლების თანამედროვე სწავლების მეთოდები“;
- ა(ა)იპ - პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ ჩატარებულ დარგობრივი ქსელის შეხვედრებში კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლები სისტემატურად არიან ჩართული;
- 2023 წლის 13 – 15 ნოემბრის ჩათვლით სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტრენინგში მონაწილეობა მიიღეს ხარისხის მართვისა და სასწავლო პროცესის მენეჯერებმა;
- კოლეჯის დაფინანსებით მთავარი ბუღალტერი დაესწრო ა(ა)იპ - უნარების სააგენტოს ორგანიზებით საქართველოს ფინანსთან სამინისტროს აკადემიის მოწვეული ტრენერების მიერ ჩატარებულ ტრენინგს საჯარო კოლეჯების ეკონომიკური საქმიანობის დანერგვის ხელშეწყობასთან დაკავშირებით;
- 2023 წლის დეკემბერში შრომის უსაფრთხოების პროფესიული განათლების მაწავლებელმა ლევან ლომსაძემ ჩაატარა ტრენინგი თემაზე „შრომის უსაფრთხოება - პირველადი სამედიცინო დახმარება;
- 2023 წლის დეკემბერში შრომის უსაფრთხოების პროფესიული განათლების მაწავლებელმა, ლევან ლომსაძემ ჩაატარა ლექცია-ტრენინგი თემაზე „შრომის უსაფრთხოების დაცვა სასწავლო დაწესებულებასა და ოფისში“;
- 2023 წლის დეკემბერში პროფესიული განათლების მასწავლებელმა ნინო სირაძემ ჩაატარა ლექცია-ტრენინგი თემაზე „თანამედროვე ქართული ენის სალიტერატური ნორმები“;
- 2023 წლის დეკემბერში „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პრგორამის მასწავლებელმა, კარლო კვიჟინაძემ ჩაატარა ტრენინგი თემაზე „ქსელისა და სისტემების ადმინისტრირება“;
- ციფრული და შერეული სწავლების კონცეფციის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს კოლეჯის პროფესიული განათლების სხვადასხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მასწავლებლებმა, ციფრული სწავლების პროექტებში გაიმარჯვეს პროფესიული განათლების მასწავლებლებმა ლილი კაცაძემ და ლელა მაისურაძემ;
- 2024 წლის ივნისში სსიპ - ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ორგანიზებით, პროფესიული განათლების მასწავლებლების შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით, ჩატარდა ტრენინგი ავტორიზაციის სტანდარტებთან დაკავშირებით;
- 2024 წლის აპრილში ჩატარდა ტრენინგი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის (eFlow) წარმოებასთან დაკავშირებით. ტრენინგს უძღვებოდა კოლეჯის დირექტორის მოადგილე მაია ომიაძე;
- 2024 წლის აპრილის თვეში ჩატარდა ტრენინგი ელექტრონული ჟურნალის წარმოებასთან დაკავშირებით. ტრენინგს უძღვებოდა კოლეჯის რეესტრის წარმოების სპეციალისტი ნინო ჩხობაძე;
- 2024 წლის აპრილში ჩატარდა შეხვედრა-ტრენინგი ინკლუზიური პროფესიული განათლების ფარგლებში ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება/აკომოდაცია/მოდიფიკაციასთან დაკავშირებით. ტრენინგს უძღვებოდა კოლეჯის ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტმა მაკა ავსაჯანიშვილმა;
- 2024 წლის მაისში „საფინანსო სერვისების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის ინიციატივითა და კოლეჯის მოწვევით, სს ტერაბანკის ადამიანური რესურსების მართვისა და პროცესების ადმინისტრირების განყოფილების უფროსმა ნინო ჯუღელმა ჩაატარა ტრენინგი თემაზე „ეფექტური მომსახურება და კომუნიკაცია“.

6-7 ნოემბერს ა(ა)იპ - პროფესიული უნარების სააგენტომ საგრანტო წინადადების შემუშავებისა და ფონდების მოძიების თემაზე ორდღიანი ტრენინგი გამართა. შეხვედრა მიზნად ისახავდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაძლებლობების გაძლიერებას საგრანტო პროექტების მომზადების მიმართულებით. მონაწილეებმა დეტალურად განიხილეს საგრანტო განაცხადის მომზადების ტექნიკები და პრაქტიკული სავარჯიშოს ფარგლებში მოამზადეს განაცხადების პროექტები. სამუშაო სესიების მეორე ნაწილი Erasmus+ საქართველოს ეროვნული ოფისის მხარდაჭერით წარიმართა, სადაც განხილულ იქნა Erasmus+ პროგრამის შესაძლებლობები, პრიორიტეტული მიმართულებები და პრაქტიკული ინსტრუმენტები პროგრამაში ჩასართავად. შეხვედრა საქართველოში გაეროს განვითარების პროგრამის „პროფესიული განათლების სისტემის მოდერნიზება საქართველოს სოფლის მეურნეობაში“ პროექტის მხარდაჭერით გაიმართა.

ა(ა)იპ - პროფესიული უნარების სააგენტოსა და IFES-ის (საარჩევნო სისტემათა საერთაშორისო ფონდი) თანამშრომლობით, 16 თებერვალს გაიმართა სამოქალაქო განათლების პროფესიული განათლების მასწავლებლების დარგობრივი ქსელის სამუშაო შეხვედრა თემაზე - „არჩევნების

თემატიკის სწავლების ეფექტიანი მეთოდები და ინსტრუმენტები“. შეხვედრაზე პროფესიული განათლების მასწავლებლებს შესაძლებლობა ჰქონდათ გაცნობოდნენ არჩევნების თემატიკის სწავლების თანამედროვე და ეფექტიან მეთოდებსა და ინსტრუმენტებს, რომლის რეპლიკაციასაც სწავლა-სწავლების პროცესში შეძლებენ. შეხვედრის ფარგლებში სამოქალაქო განათლების პროფესიული განათლების მასწავლებლები საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია/CEC of Georgia ეწვივნენ, სადაც გაეცნენ საარჩევნო ელექტრონული ტექნოლოგიების შესახებ სიახლეებს და მონაწილეობა მიიღეს იმიტირებულ კენჭისყრაში. აღსანიშნავია, რომ შეხვედრაზევე გამოვლინდნენ და დაჯილდოვდნენ პროფესიული განათლების მასწავლებლების რეგიონულ კონკურსში - „არჩევნების თემატიკის სწავლების ეფექტიანი მეთოდები და ინსტრუმენტები“ პირველ, მეორე და მესამე ადგილზე გასული მონაწილეები. მათ შორის, მეორე საპრიზო ადგილი მოიპოვა სამოქალაქო განათლების პროფესიულმა მასწავლებელმა, ნინო კაპანაძემ.

2024 წლის 22 მარტს, კოლეჯში ჩატარდა ტრენინგი „ვექტორული გრაფიკა Adobe Illustrator" (გაციფრულებული), რომლის მიზანი იყო პროგრამის ფუნქციების გაცნობა, გაციფრულების მეთოდების გამოყენება და პლატფორმაზე განთავსების შესაძლებლობების გაზიარება. ტრენინგი ჩაატარა „ციფრული საგანმანათლებლო კურსების შექმნასთან დაკავშირებით“ ა(ა)იპ - პროფესიული უნარების სააგენტოს ინიციატივით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ან პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებისთვის (საჯარო ან კერძო სამართლის იურიდიული პირის ფორმით არსებული) და პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის გამოცხადებული საგრანტო კონკურსის გამარჯვებულმა ლელა მაისურაძემ, რომელიც კოლეჯში „გრაფიკული დიზაინის შესრულების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელია. ტრენინგი როგორც შემეცნებით, ისე მოტივაციურ ხასიათს ატარებდა. შეხვედრის შედეგად, პროფესიული მოდულების გაციფრულების მეთოდები და აღნიშნული კონკურსის მიზნები, უფრო ცხადი და ნათელი გახდა სხვა პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის. კოლეჯი მოუწოდებს პროფესიული განათლების მასწავლებლებს, დაინტერესდნენ სააგენტოს ინიციატივით გამოცხადებული საგრანტო კონკურსით ციფრული საგანმანათლებლო კურსების შექმნასთან დაკავშირებით.

2 აპრილს კოლეჯში გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა თემაზე: „ინკლუზიური პროფესიული განათლება“. აღნიშნული შეხვედრა გაიმართა პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის. შეხვედრის მონაწილეებისთვის მიწოდებულ იქნა ინფორმაცია პრაქტიკული მოსინჯვის, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის, მოდულის - აკომოდაცია/მოდიფიკაციის შესახებ. შეხვედრის დასასრულს, პროფესიული განათლების მასწავლებლებმა მონაწილეობა მიიღეს დისკუსიაში.

25 აპრილს, კოლეჯში ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრა მიგრაციის თემაზე. ტრენინგი დაიგეგმა გაეროს მიგრაციის სააგენტოსთან შეთანხმებით. დღის წესრიგით გათვალისწინებული იყო შემდეგი თემების განხილვა:

- უვიზო მიმოსვლა ევროკავშირში
- თავშესაფრის მოთხოვნა ევროკავშირში / ბოლო მონაცემები/ტენდენციები
- არალეგალური მიგრაციის რისკები / ტრეფიკინგი
- სეზონური / ლეგალური დასაქმება საზღვარგარეთ და სხვა თემები.

  შეხვედრის მიზანი იყო პროფესიული სტუდენტებისთვის ცნობიერების ამაღლება ზემოთ ჩამოთვლილ საკითხებთან დაკავშირებით, რათა თავიდან აირიდონ უკანონო მიგრაცია, შრომითი ექსპლუატაციის რისკები, იცოდნენ პროცედურულად რას მოიცავს შენგენის ზონაში გამგზავრება და რა შემთხვევაში არის შესაძლებელი თავშესაფრის მოთხოვნა.

„სამოქალაქო განათლების“ მოდულის ფარგლებში, 29 აპრილს, კოლეჯში საარჩევნო სიახლეებისა და ელექტრონული ტექნოლოგიების შესახებ საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა. ცესკოს წარმომადგენლებმა კოლეჯის თანამშრომლებსა და პროფესიულ სტუდენტებს დეტალური ინფორმაცია მიაწოდეს 2024 წლის არჩევნებისთვის მზადების პროცესისა და ტექნოლოგიური სიახლეების შესახებ. შეხვედრის მონაწილეებს საშუალება ჰქონდათ პრაქტიკაში გამოეცადათ ვერიფიკაციისა და ხმის მთვლელი აპარატების მუშაობა. ამ მიზნით, მოეწყო სიმულაციური კენჭისყრის პროცედურა, რომელშიც ყველა დაინტერესებული პირი მონაწილეობდა. კოლეჯის თანამშრომლობს საჯარო დაწესებულებებთან. არჩევნების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარების უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია მოქალაქეების, განსაკუთრებით კი, ახალგაზრდების – პროფესიული სტუდენტების სამოქალაქო პასუხისმგებლობის ზრდის ხელშეწყობა. სწორედ ამიტომ, საინფორმაციო შეხვედრა ორიენტირებული იყო საზოგადოებისა და ამომრჩევლის ინფორმირებაზე და მათი ცნობიერების ამაღლებაზე.

17 ივნისს, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ჩაატარა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებების მასწავლებლების შესაძლებლობების გაძლიერების ტრენინგი. ტრენინგი ჩატარდა პროფესიული განათლების მასწავლებლების შესაძლებლობების გაძლიერებისათვის ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებთან დაკავშირებით. შეხვედრა პროფესიული განათლების ხარისხის განვითარების მხარდაჭერის ქვეპროგრამის ფარგლებში დაიგეგმა და კოლეჯის თითქმის ყველა პროფესიული განათლების მასწავლებელი დაესწრო. ტრენინგის გავლის შედეგად, მონაწილეებს გადაეცემათ სერტიფიკატები.

❖ **შედეგი: შესრულდა.**

➢ **ამოცანა –** პროფესიული სტუდენტებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების კონფერენცია/ღია ლექციების ორგანიზება.

➢ **აქტივობა –** კონფერენცია/საჯარო ლექციების დაგეგმვა და ჩატარება.

სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მოდულების ფარგლებში ღია/საჯარო ლექციის ჩატარება, სადაც აქტიურად არიან ჩართული ასევე პროფესიული სტუდენტები.

2023 წლის სექტემბრიდან დეკემბრის ჩათვლით მსგავსი ღია ლექციები წარმოადგინეს შემდეგმა პროფესიული განათლების მასწავლებლებმა:

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ პროგრამის ხელმძღვანელმა კარლო კვიჟინაძემ წარმოადგინა ღია ლექცია თემაზე, „ქსელისა და სისტემების ადმინისტრირება“, ჯგუფი N262;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, „ინფორმაციის ტექნოლოგია“ განმახორციელებელმა, ზვიად მამნიაშვილმა N242/255 ჯგუფში წარმოადგინა ღია ლექცია თემაზე, „მცირე ოფისისთვის ((Small Office/Home Office)) კომპიუტერული ტექნიკის შერჩევა, ოპერაციული სისტემების ინსტალაცია და ქსელის გამართვა“;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, „ინფორმაციის ტექნოლოგია“ ხელმძღვანელმა, აკაკი ფეიქრიშვილმა N241 ჯგუფში წარმოადგინა ღია ლექცია თემაზე, „მცირე ოფისისთვის ((Small Office/Home Office)) კომპიუტერული ტექნიკის შერჩევა, ოპერაციული სისტემების ინსტალაცია და ქსელის გამართვა“;
- პროფესიულმა განათლების მასწავლებელმა ნინო სირაძემ, მოდულის, „ქართული ენა A2”, ფარგლებში არაქართულენოვან პროფესიულ სტუდენტებთან ჩაატარა ღია ლექცია თემაზე „ჩემი ქალაქი/ ჩემი ქვეყანა“;
- პროფესიული საგანმანათლებლო პრგორამის, „საფინანსო სერვისები“ პროგრამის ხელმძღვანელმა გიული გურგენიძემ და პროფესიული განათლების მასწავლებელმა ბექარ კილასონიამ ჩაატარეს N245 და N254 ჯგუფებში მოდულის, „საწარმოო პრაქტიკა - საფინანსო სერვისები“ ფარგლებში ღია ლექცია, რომელზეც მოწვეული იყვნენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის წარმომადგენლები, ა(ა)იპ - პროფესიული უნარების სააგენტოს თანამშრომლები, სს „ლიბერთი ბანკის“, სს

„კრედო ბანკის“ და შპს „ნიკორას“ წარმომადგენლები. პროფესიულმა სტუდენტებმა წარმოადგინეს პარტნიორ ორგანიზაციებში პრაქტიკის ობიექტებზე მიღებული გამოცდილებისა და ცოდნის დემონსტირების შესახებ პრეზენტაცია;

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, „ვებტექნოლოგიები“ ხელმძღვანელმა, დავით გოგიძემ N253 ჯგუფში დასკვნითი მოდულის, „პრაქტიკული პროექტი-ვებტექნოლოგიები“ ფარგლებში ჩააატარა ღია ლექცია, სადაც პროფესიულ სტუდენტებთან ერთად წარმოადგინა ერთობლივი პროექტი „სასწავლო პროცესის მართვის ფუნქციონალი“. პროგრამა მოიცავს პროფესიული განათლების მასწავლებლების, მოდულების, სასწავლო დაწესებულებების სტუდენტების/მოსწავლეების პროგრამულ მართვას, რომელიც შესაძლებელია დანერგილი იყოს სასწავლო დაწესებულებებში ადმინსტრირებისთვის. აღნიშნული ჯგუფის სტუდენტმა ლილიანა აქიმიშვილმა მონაწილეობა მიიღო პროფესიული განათლების საერთაშორისო პროექტში Word skills;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, „ინდუსტრიული დიზაინის შესრულება“ N228 ჯგუფში, პროგრამის ხელმძღვანელმა, ილია სარხოსიდმა წარმოადგინა სასწავლო პროცესში პროფესიული სტუდენტების მიერ შექმნილი ციფრული პროტოტიპები და შემდეგ უკვე მზა ვიზუალური პროდუქცია, რომელიც ინახება კოლეჯის ინოვაციების ლაბორატორიაში;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, „საოფისე საქმე“ N243 ჯგუფში, პროგრამის ხელმძღვანელის, ლეილა გიორგობიანის მიერ ჩატარდა ღია ლექცია საოფისე სფეროს მიმოხილვის, დასაქმების და პარტნიორი ორგანიზაციებში კოლეჯის პროფესიული სტუდენტების მიერ მოდულის, „საწარმოო პრაქტიკა - საოფისე საქმე“ ფარგლებში განხორციელებული აქტივობების შესახებ;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, „ინდუსტრიული დიზაინის შესრულება“ განმახორციელებელმა პროფესიული განათლების მასწავლებელმა, ნინო გაჩავამ N252 სასწავლო ჯგუფში, მოდულის, „ინდუსტრიული დიზაინის სტილისტიკის“ ფარგელბში მოაწყო გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იყო სასწავლო პროცესში შექმნილი ნამუშევრებისა და სტილისტურად შექმინილი ქართული ანბანის ასოები. პროფესიულმა სტუდენტებმა თავის ნამუშევრებზე გააკეთეს განმარტებები, და აღწერეს აღნიშნულ სტილისტურ ფორმებზე მუშაობის პროცესი;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“ ხელმძღვანელმა რევაზ თოლორდავამ, პროფესიული განათლების მასწავლებელმა დავით სოლომნიშვილმა და N246 ჯგუფის პროფესიულმა სტუდენტებმა წარმოადგინეს პრეზენტაცია მოდულში, „პრაქტიკული პროექტი ამზომველ-ტოპოგრაფისთვის“, რომლის ფარგლებშიც პროფესიულმა სტუდენტებმა შექმნეს იმიტირებული საკადასტრო/აზომვითი ნახაზები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, „გრაფიკული დიზაინის შესრულება“ N225 ჯგუფის პროფესიულმა სტუდენტებმა, პროფესიული განათლების მასწავლებელ ლელა მაისურაძესთან ერთად წარმოადგინეს პრეზენტაცია მოდულში, „პრაქტიკული პროექტი გრაფიკული დიზაინის შესრულებისთვის“. პრეზენტაციაში ასახული იყო პროფესიული სტუდენტებისაგან შექმნილი ესკიზები და გრაფიკული ნამუშევრები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, „ბუღალტრული აღრიცხვა“ პროფესიული განათლების მასწავლებლის ხელმძღვანელობით N239/240 ჯგუფში გაიმართა ღია მეცადინეობა მოდულში „პრაქტიკული პროექტი ფინანსური და საგადასახადო ანგარიშგების მომზადება“. პრეზენტაციის ფარგლებში პროფესიულმა სტუდენტებმა წარმოადგინეს იმიტირებული კომპანიების ფინანსური და საგადასახადო ანგარიშგებები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, „სამკერვალო წარმოება“ პროფესიული განათლების მასწავლებლის, მაია გრიგალაშვილის ხელმძღვანელობით N247 ჯგუფის პროფესიულმა სტუდენტებმა მოდულის, „საწარმოო პრაქტიკა - სამკერვალო ნაწარმის ტექნიკური მოდელირება და კერვა“ ფარგლებში წარმოადგინეს შექმნილი ნაწარმი და გამართეს მოდების ჩვენების იმიტირებული პროცესი;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, „მსუბუქი ავტომობილის ძრავას შეკეთება“ და „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ პროფესიული განათლების მასწავლებელმა, მანანა შეწირულმა N267 და N268 სასწავლო ჯგუფების პროფესიულ სტუდენტებთან ერთად გამართა ღია ლექცია თემებზე „შიდაწვის ძრავების მოწყობილობები“ და „ავტომობილების კლასიფიკაცია“.

❖ **შედეგი: შესრულდა.**

სტრატეგიული მიზანი III - სასწავლო პროცესის ხარისხის განვითარება და სასწავლო პროცესში ინოვაციების დანერგვა:

➢ **ამოცანა -** *ინოვაციური მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა.*

➢ **აქტივობა -** სასწავლო პროცესში ინოვაციური მიდგომების განხორციელება და პროფესიული სტუდენტებისთვის უახლესი ტექნოლოგიების შეთავაზება, კოლეჯის თანამედროვე ტექნიკური რესურსით აღჭურვა.

კოლეჯი ღიაა და სრულ მზადყოფნას გამოხატავს სასწავლო პროცესში ახალი, ინოვაციური მიდგომების გამოყენებასთან დაკავშირებით. კოლეჯის მიერ შემუშავებულ პროფესიული საგანმათლებლო პროგრამების შემავალ მოდულებში ასახულია ჩანაწერები სწვლებისა და შეფასების მეთოდებთან დაკავშირებით. კოლეჯი აღჭურვილია მოდულების სწავლის შედეგებით გათვალისწინებული თანამედროვე მატერიალური რესურსითა და მასალა-ნედლეულით. გაზარდა ინტერნეტპაკეტის მიწოდების სიჩქარე, შეძენილია SSD ტიპის მყარი დისკები, სასწავლო პროცესში ჩართული პირების, დარგის პროფესიული განათლების მასწავლებლებლების, დირექციისა და ქსელის ადმინისტრატორის პერმანენტული სამუშაო შეხვედრების საფუძველზე, ახალი თანამედროვე მონაცემების მქონე კომპიუტერული ტექნიკით აღიჭურვა „გრაფიკული დიზაინის შესრულების“, „ინდუსტრიული დიზაინის შესრულების“, „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“, „ვებტექნოლოგიების“ და „ინფორმაციის ტექნოლოგიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების აუდიტორიები. „სამკერვალო წარმოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში კოლეჯმა შეიძინა და გაამრავალფეროვნა მანეკენები, საკერავ მანქანებში დამონტაჟდა სიჩქარის მარეგულირებელი ძრავები. „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დამატებით შეძენილ იქნა განახლებული პარამეტრების მქონე ფოტოაპარატი.

2024 წლის 7 მარტს განათლების სსიპ - ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2024 წლის საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა. კონფერენციის მესამე დღე დაეთმო პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებს და სისტემის განვითარების ტენდენციებს. აქვე, განიხილეს 2023 წელს განხორციელებული მნიშვნელოვანი ღონისძიებები, ცენტრის მიერ 2024 წლისთვის დაგეგმილი აქტივობები და პროფესიული განათლების რეფორმის სიახლეები. კონფერენციაზე გაზიარებული იქნა ადგილობრივი და საერთაშორისო გამოცდილება პროფესიული განათლების საკითხებთან დაკავშირებით. საუკეთესო გამოცდილების ანალიზის შედეგად, სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრს“ გადაეცა ჯილდო, გამარჯვებისთვის ნომინაციაში „კარგი პრაქტიკის დანერგვის გზით პროფესიული განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობისათვის“, რაც გულისხმობდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, „ინდუსტრიული დიზაინის შესრულებისა“ და „გრაფიკული დიზაინის შესრულების“ ფარგლებში სასწავლო რესურსის ქართულ ენაზე შექმნასა და თარგმნას.

❖ **შედეგი: შესრულდა.**

➢ **ამოცანა - სასწავლო პროცესის მონიტორინგის სისტემის განვითარება.**

- **აქტივობა -** შიდა მონიტორინგის ჯგუფის მიერ მეცადინეობებზე/შედეგების *დადასტურებებზე დასწრება და შემუშავებული რეკომენდაციების პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის/პროგრამის ხელმძღვანელისთვის განხილვა .*

კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მონიტორინგის ჯგუფი პერმანენტულად შერჩევითი მეთოდით ახორციელებს სასწალო პროცესის მიმდინარეობაზე დასწრებას. მონიტორინგის ჯგუფმა 2023 წლის ნოემბერ-დეკემბრის პერიოდში, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით განახორციელა მონიტორინგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, „საფინანსო სერვისები“, „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება“, „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“, „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“, „სამკერვალო წარმოება“, „გრაფიკული დიზაინის შესრულება“, და „საოფისე საქმე“ შემავალი მოდულების ფარგლებში, ხოლო 2024 წლის ივლისში - შემოწმდა სასწავლო პროცესის მიმდინარეობა, პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ ჩატარებული მეცადინეობისას რამდენად შეესაბამებოდა საკონტაქტო საათის თემა მათ მიერ გაწერილ კალენდარულ/გაკვეთილის გეგმას, რამდენად იყო თანხვედრაში საათების განაწილება მოდულში არსებულ მოდულის ჩანაწერებთან, შეესაბამებოდა თუ არა მასწავლებლის მიერ რეალურად დახარჯული დრო მოდულის ჩანაწერებსა და კალენდარულ გეგმას, თავსებადი იყო თუ არა სასწავლო გარემო მოდულის სწავლის შედეგებთან, სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილი იყო თუ არა შესაბამისი რესურსებით (მატერიალური, საგანმანათლებლო/სასწავლო, მასალა-ნედლეული), მეცადინეობის პროცესში გამოყენებული სწავლებისა და შეფასების მეთოდები და აქტივობები იყო თუ არა იდენტური მოდულში არსებულ ჩანაწერებთან, რამდენად უწყობდა ხელს მოდულის განმახორციელებელი პირი პროფესიული სტუდენტის მეცადინეობის პროცესში ჩართულობასა და მისი მოტივაციის ამაღლებას, უთმობდა თუ არა პროფესიული განათლების მასწავლებელი საჭირო დროს სტუდენტებთან უკუკავშირს, პროფესიულ სტუდენტთა შეფასება ხორციელდებოდა თუ არა მოდულის ჩანაწერების შესაბამისად (შეფასების მიმართულებები, მტკიცებულების შეგროვების მიდგომები, შეფასების ინსტრუმენტები), აღრიცხავდა თუ არა პროფესიული განათლების მასწავლებელი დასწრების ჟურნალს. მონიტორინგის ჯგუფმა შემოწმების შედეგები გააცნო პროფესიული განათლების მასწავლებლებს და სასწავლო პროცესში ჩართულმა პირებმა დაგეგმეს მომავალი სტრატეგია სასწავლო პროცესის განვითარებისა და მონიტორინგის გაძლიერებისათვის.

სასწავლო პროცესის მონიტორინგის სპეციალისტმა, ქეთევანი ბერუაშვილმა დამატებით განმარტა, რომ ყოველდღიურ რეჟიმში მონიტორინგს უწევს სალექციო საათების მიმდინარეობას ცხრილის მიხედვით და შესაბამისად აღრიცხავს გაცდენილ ლექციებს. იბარებს და აღრიცხავს სწავლის შედეგების დადასტურების ამსახველ შეფასების ინსტრუმენტებს, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ინდივიდუალურ უწყისებს, მატერიალურ და ელექტრონულ მტკიცებულებებს, ამზადებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ნაერთ უწყისებს.

პროფესიულ სტუდენტთა მიერ დასრულებული მოდულების სწავლის შედეგების განმხილველი მუდმივმოქმედი კომისიის საქმიანობის ფარგლებში, სასწავლო პროცესის მენეჯერთან, დირექტორის მოადგილესთან, სასწავლო პროცესის სპეციალისტთან და შესაბამისი მოდულების განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ერთად განიხილავს ყოველი მომდევნო კალენდარული თვის 10 რიცხვამდე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასრულებული მოდულების სწავლის შედეგებს და ამზადებს შესაბამის ოქმებს. ქეთევანი ბერუაშვილის განმარტებით, მიმდინარე სასწავლო წელს რეესტრის წარმოების სპეციალისტთან ერთად, განხორციელდა 2023/2024 წლის მიღების სასწავლო ჯგუფების დასწრების აღრიცხვა და პროფესიული სტუდენტების ინფორმირება, ასევე კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-4 მუხლის I პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, საკონტაქტო საათების გაცდენების 1/3-ის გადაჭარბების ან/და შედეგების მიუღწევლობის მიზეზით, პროფესიულ სტუდენტთა მონაცემთა ბაზის მომზადება და შესაბამისი ზომების მიღება.

ამავე პერიოდში, განხორციელდა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში არსებული ე.წ. წინაპირობების ელექტრონული ცხრილის შემუშავება, რის მიხედვითაც კონტროლდება ვადები და მატერიალურად ხდება წინაპირობიანი მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის იმ პროფესიულ სტუდენტთა სიის მიწოდება, რომელთაც აქვთ შემდგომ მოდულზე დაშვების უფლება.

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში შემუშავდა ახალი მექანიზმი ელექტრონული მტკიცებულებების სერვერზე შენახვის/დაარქივებასთან დაკავშირებით. შემუშავდა პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ ელექტრომტკიცებულებების მოწოდების ახალი ფორმა, რაც გულისხმობს ე.წ. Lan Messenger-ის მეშვეობით მტკიცებულებების ატვირთვას უშუალოდ სასწავლო პროცესის მონიტორინგის სპეციალისტთან, მტკიცებულებების სერვერზე განთავსების მიზნით.

- **შედეგი: შესრულდა.**

- **ამოცანა -** *თანამშრომლობის განვითარება კოლეჯებთან და დამსაქმებლებთან.*
- **აქტივობა** - *პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად ობიექტის მოკვლევა და ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკების წარმოება. დამსაქმებლებთან დაკავშირება და მათი დაინტერესება.*
- **აქტივობა -** *საწარმოო/გაცნობითი პრაქტიკისთვის/პრაქტიკული პროექტისთვის მემორანდუმების გაფორმება.*

კოლეჯის ადმინისტრაცია მუდმივ რეჟიმში გამოთქვამს მზადყოფნას, მეტი კომპანიისა და დამსაქმებლის მოსაზიდად. კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობს კერძო ბიზნესთან, იმისათვის, რომ შრომის ბაზარზე კურსდამთავრებულებს, მათ შორის, შშმ და სსსმ პროფესიულ სტუდენტებს დასაქმების მეტი შესაძლებლობა ჰქონდეთ. მათი დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, კოლეჯის მიერ ქვეყნდება ინფორმაცია სხვადასხვა კომპანიებში გამოცხადებულ ვაკანსიებთან დაკავშირებით, ასევე, ინდივიდუალურად ხდება რეკომენდაციების გაწევა კურსდამთავრებულთათვის კონკრეტულ პოზიციაზე დასაქმების მოთხოვნის შესაბამისად. სპეციალობებიდან გამომდინარე ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები გაფორმებულია კომუნიკაციების, მომსახურების, ბიზნესის, მშენებლობის, მრეწველობის, საზოგადოებრივი კვლევების სფეროს კომპანიებთან, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში, აქტიურად არიან ჩართული პროგრამებისა და მოდულების ადაპტირების შემუშავების, განხორციელების, პრაქტიკული მოდულების მიმდინარეობის პროცესში.

2023 წლის აგვისტო-დეკემბრის პერიოდში გამოქვეყნდა შემდეგი კომპანიის ვაკანსიები: შპს საქართველოს დისტრიბუცია და ლოგისტიკა ჯიდიელი (ყოფილი თელიანი თრეიდინგი), კომპანია „ფაფანაკი“ (ეროვნული სამოსის ბრენდი), სამკერვალო „ჟაკეტი“, შპს „პრომოუტერი“, შპს „ტელეიმედი“, სს ,,ელიტ ელექტრონიქსი" საყოფაცხოვრებო ელექტრო ტექნიკის ყველაზე დიდი ქსელი საქართველოში, სარეკლამო საწარმო FANDI, სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“, გრინვეი, საწარმო „ვუდმასტერი“, შპს „დიო“ და ა.შ.

2023 წლის 16 ოქტომბერს „საფინანსო სერვისების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აუდიტორიაში „ლიბერთი ბანკის სივრცე“ გაიხსნა. სს „ლიბერთი ბანკის“ დახმარებით დაწესებულებაში მოეწყო სიმულაციური სივრცე პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის. სს „ლიბერთი ბანკში“ დასაქმებულია კოლეჯის ათეულობით პროფესიული სტუდენტი და ბანკი სამომავლოდაც მზადაა ხელი შეუწყოს მათ კარიერულ მხარდაჭერას. ამ მიზნით, მუდმივად ახლდება არსებული ინფრასტრუქტურა და გრძელდება კოლეჯის შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვა. სწავლა/სწავლების სხვადასხვა მეთოდის მიხედვით, პროფესიულ სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა, გამოიმუშაონ პროფესიული უნარ-ჩვევები, დაძლიონ კომუნიკაციასთან არსებული ბარიერები, შეისწავლონ მომხმარებელზე ორიენტირებული ახალი პროდუქტებისა და სერვისების შეთავაზება, განახორციელონ სხვადასხვა საბანკო მომსახურების მიღება. ყოველივე ეს პროფესიულ სტუდენტებს ხდის მეტად კონკურენტუნარიანს შრომის ბაზარზე.

კოლეჯი მომავალშიც გააგრძელებს ურთიერთთანამშრომლობას საბანკო სფეროს წარმომადგენლებთან. გააუმჯობესებს ინფრასტრუქტურულ და ტექნოლოგიურ გარემოს, რაც საბოლოოდ დადებითად აისახება პროფესიული განათლების ხარისხზე.

2023 წლის 30 ნოემბერს კოლეჯში „მაჯიდ ალ ფუტაიმ ჰიპერმარკეტს ჯორჯიას“ დასაქმების ფორუმი გაიმართა, სადაც კომპანიის ადამიანური რესურსების დეპარტამენტის წარმომადგენელმა პროფესიულ სტუდენტებთან ერთად მიმოიხილა კომპანიაში არსებული პოზიციები და მიმდინარე ვაკანსიები. პროფესიული სტუდენტები აქტიურად ჩაერთნენ ფორუმში და ადგილზევე შეავსეს სააპლიკაციო ფორმები სასურველი პოზიციის მითითებით. განსაკუთრებული ინტერესი საახალწლო პერიოდში გამოცხადებულმა შეთავაზებამ გამოიწვია, რაც გულისხმობდა პროფესიული სტუდენტის დასაქმებას მოქნილი გრაფიკით, როგორც დროებითი, ასევე ხანგრძლივი ვადით. კოლეჯი აგრძელებს თანამშრომლობას „კარფურთან“ და აპლიკაციის შევსებას სთავაზობს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს კოლეჯის კანცელარიაში.

2024 წლის 24 იანვარს კოლეჯში „სპარ Georgia“-ს დასაქმების ფორუმი გაიმართა, სადაც კომპანიის ადამიანური რესურსების დეპარტამენტის თანამშრომლებმა პროფესიულ სტუდენტებთან ერთად მიმოიხილეს კომპანიაში არსებული პოზიციები და მიმდინარე ვაკანსიები. პროფესიული სტუდენტებს საშუალება ჰქონდათ, ადგილზევე შეევსოთ სააპლიკაციო ფორმა სასურველ ვაკანსიაზე კონკრეტული ტერიტორიის, სამუშაო გრაფიკისა და ანაზღაურების მითითებით. დასაქმების ფორუმის პარალელურად, მოხდა „სპარაკადემიის“ გაცნობა, რომელიც თანამშრომლების სწავლებისა და განვითარებისთვის შეიქმნა. კომპანიასთან თანამშრომლობის ფარგლებში, „სპარი“ ნებისმიერ პროფესიულ სტუდენტს სთავაზობს, გაიაროს მისთვის სასურველი ტრენინგი კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ან/და დაესწროს სხვადასხვა სასერტიფიკატო მასტერკლასს სრულიად უფასოდ. კოლეჯი მიესალმება კერძო სექტორის ჩართულობას პროფესიული განათლების განვითარებისა და გამოთქვამს მზადყოფნას დასაქმების ხელშეწყობის პროცესში.

2024 წლის 15 მარტს კოლეჯმა „თეგეტა მოტორსის“ წარმომადგენლებს უმასპინძლა. „თეგეტა მოტორსი“ არის საქართველოს უმსხვილესი კომპანიების ხუთეულში შემავალი ბიზნეს ჯგუფი და ქვეყანაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი დამსაქმებელი. კოლეჯი თავისი საქმიანობის ფარგლებში აქტიურად თანამშრომლობს კერძო სექტორთან. პარტნიორი კომპანიები აქტიურად არიან ჩართულნი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების (საწარმოო პრაქტიკის მიმდინარეობის), აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, პროგრამებში ცვლილების შეტანის პროცესში. „თეგეტა მოტორსი“ კოლეჯის პარტნიორია 2012 წლიდან და მუდმივად ხდება ურთიერთთანამშრომლობა როგორც დასაქმების, ისე პროფესიული საგანამათლებლო და მომზადება/გადამზადების პროგრამების განხორციელების მიმართულებით. ვიზიტის ფარგლებში, „თეგეტა მოტორსისა“ და „თეგეტა აკადემიის“ წარმომადგენლებმა დაათვალიერეს კოლეჯის ინფრასტრუქტურა და სახელოსნო, დაესწრნენ სასწავლო პროცესს და პირადად გაესაუბრნენ პროფესიულ სტუდენტებს. შეხვედრის მიმდინარეობისას, მხარეთა შორის გამოიკვეთა თანამშრომლობის გაღრმავების მზაობა, დაიგეგმა დასაქმების ფორუმი, ერთობლივი პროექტების განხორციელება, ექსკურსია რეალურ სამუშაო სივრცეში და ა.შ. კოლეჯი მიესალმება კერძო სექტორის ინიციატივებს თანამშრომლობასთან დაკავშირებით და მიაჩნია, რომ პროფესიულ განათლებაში ბიზნესის ჩართულობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მომავალში პროფესიული განათლების პოლიტიკის წარმართვაზე.

2024 წლის 1 მაისს კოლეჯში გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მედიატორობით შემუშავებული პროფესიული მომზადების პროგრამების: „ალუმინისა და მეტალოპლასტმასის კარების, ფანჯრების, მზის დამცავი სისტემების მონტაჟისა“ და „მსუბუქი ავტომობილების დიაგნოსტირების“ კურსდამთავრებულ მსმენელთათვის სერტიფიკატების გადაცემი ცერემონია გაიმართა. პროგრამები, რომელიც გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით შემუშავდა და ა(ა)იპ - პროფესიული უნარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა, შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პროფესიული უნარებითა და ცოდნით აღჭურვილი კადრების მომზადებას ითვალისწინებს. პროფესიული უნარების სააგენტოს ზრდასრულთა განათლების მიმართულების მენეჯერმა კურსდამთავრებულებს კარიერული წინსვლა უსურვა, ხოლო საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს წარმომადგენელმა პირადად მიიღო მონაწილეობა სერტიფიკატების გადაცემაში და სამინისტროს სახელით, მუდმივი მხარდაჭერა გამოუცხადა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას პროგრამების შემუშავებასა და სწავლა-სწავლების პროცესში. პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელებაში განსაკუთრებულად წარმატებული აღმოჩნდა კოლეჯისა და კომპანია „დიოს“ კოლაბორაცია. ღონისძიებაზე მოწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ კოლეჯის პარტნიორი კომპანიის - შპს „დიოს“ წარმომადგენლები, მათ შორის, თანადამფუძნებელი და აღმასრულებელი დირექტორი, თამაზ დაუშვილი. ხაზგასასმელია, რომ პროფესიული მომზადების პროგრამის, „ალუმინისა და მეტალოპლასტმასის კარების, ფანჯრების, მზის დამცავი სისტემების მონტაჟის“ პრაქტიკული კომპონენტი სწორედ შპს „დიოს“ ბაზაზე , შესაბამისად აღჭურვილ გარემოში. ვიზიტის ფარგლებში, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) GIZ Alumni Georgia წარმომადგენლებმა დაათვალიერეს კოლეჯი მოქმედი ლაბორატორიები და სახელოსნოები, გაეცნენ მიმდინარე პროფესიულ საგანმანათლებლო და მომზადება/გადამზადების პროგრამებს, დაინტერესდნენ რეგისტრაციის პროცედურებითა და სტატისტიკით. წარმომადგენლებს შორის იყვნენ GIZ პროექტის მენეჯერი - იზაბელ რაპპი, პროგრამის ექსპერტი და სხვები. გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ) აქტიურად განაგრძობს კერძო სექტორის წარმომადგენლებთან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ერთობლივად განხორციელების მხარდაჭერას და პროექტის „პროფესიული განათლება საქართველოს ეკონომიკის მზარდ სექტორებში“ ფარგლებში, გერმანიის მთავრობის დაფინანსებით სხვადასხვა აქტივობის განახორციელებას. მოწვეულმა სტუმრებმა ასევე დაათვალიერეს კოლეჯში არსებული „რობერტ ბოშის“ რესურს ცენტრი, რომელიც აქტიურად გამოიყენება სხვადასხვა პროგრამის განხორციელების პროცესში.

2024 წლის 20 მაისს კოლეჯმა „თეგეტა მოტორსის“ დასაქმების ფორუმს უმასპინძლა. ამ შეხვედრის ფარგლებში, კიდევ ერთხელ განახლდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. „თეგეტა ჰოლდინგის“ წარმომადგენლებმა ჩაატარეს პრეზენტაცია კომპანიის შესახებ, ასევე, პროფესიულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს გააცნეს მიმდინარე ვაკანსიები, რომელზე განაცხადის გაკეთება დაინტერესებულ პირებს ადგილზევე შეეძლოთ. შეხვედრა ინტერაქციული ხასიათის იყო და სპეციალური გათამაშების შედეგად, მონაწილეებს საჩუქრებიც გადაეცათ. პროფესიულ სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერის მიზნით, კოლეჯის სივრცეში განთავსდა „თეგეტა მოტორსის“ ბანერი და სამომავლოდ, მასზე დატანილი QR კოდის საშუალებით სტუდენტებს მუდმივად ექნებათ შესაძლებლობა, თვალი ადევნონ კომპანიის აქტიურ ვაკანსიებს. კოლეჯი მიესალმება კერძო სექტორის ინიციატივებს თანამშრომლობასთან დაკავშირებით და თვლის, რომ პროფესიულ განათლებაში ბიზნესის ჩართულობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მომავალში პროფესიული განათლების პოლიტიკის წარმართვაზე.

2024 წლის 23 მაისს, კერძო სექტორთან პარტნიორობის ფარგლებში, კოლეჯში „ტერა ბანკის“ წარმომადგენლების მიერ „ეფექტური მომსახურებისა და კომუნიკაციის“ ტრენინგი ჩატარდა. სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობდნენ პროფესიული სტუდენტები, კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგნლები და პროფესიული განათლების მასწავლებლები. ტრენინგი მოიცავდა როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ ნაწილს, ჯგუფურ სავარჯიშოებსა და ინტერაქციას, რამაც უფრო საინტერესო და სახალისო გახადა კომუნიკაციისა და მომსახურების თემატიკა. 6 საათიანი ვორქშოფის დასრულების შედეგად, მონაწილეებს სერტიფიკატები გადაეცათ.

2024 წლის 12 ივლისს კოლეჯის პროფესიული სტუდენტები თეგეტა მოტორსს ესტუმრნენ. ამჯერად, პარტნიორობის ფარგლებში, დაორგანიზდა მინი ექსკურსია კომპანიის ცენტრალურ ფილიალში, სადაც საინჟინრო მიმართულების პროფესიულმა სტუდენტებმა დაათვალიერეს სამუშაო და სასწავლო სივრცეები, ტექნიკური ტრენერებისა და მენეჯერების დახმარებით, პროფესიული სტუდენტები გაეცნენ ძრავების, სავალი ნაწილის, ელექტროობისა და სამღებრო-სათუნუქე სარემონტო უბნების სამუშაო სპეციფიკას. კოლეჯი მიესალმება კერძო სექტორის ინიციატივებს თანამშრომლობასთან დაკავშირებით და თვლის, რომ პროფესიულ განათლებაში ბიზნესის ჩართულობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მომავალში პროფესიული განათლების პოლიტიკის წარმართვაზე.

2024 წლის 9 ივლისს კოლეჯმა უმასპინძლა კომპანია „ბაუმერის“ წარმომადგენლობას. კომპანია „ბაუმერი“ 2013 წელს ახალგაზრდა და ენერგიული გუნდის მიერ შეიქმნა. გუნდი დაკომპლექტებულია ექსპერტული ცოდნის მქონე ქართველი და უცხოელი პროფესიონალებისგან, მთავარ

საქმიანობას, ბაზარზე MEP სისტემების მიმართულებით, სრული სერვისის მიწოდება წარმოადგენს, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით. მათთან დაიგეგმა თანამშრომლობა, როგორც მომზადება/გადამზადების, ისე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების მიმართულებით.

2024 წლის 10 ივლისს კოლეჯმა უმასპინძლა კომპანია „პროსპექტის“ წარმომადგენლებს, რომლებმაც გამოთქვეს დაინტერესება ერთობლივი პროექტების განხორციელების შესახებ. „პროსპექტი“ ახორციელებს მომზადება-გადამზადების მოკლევადიან პროგრამას უძრავი ქონების გაყიდვების მიმართულებით. კოლეჯის მხრიდან გამოითქვა სურვილი და მზაობა, დამყარდეს პარტნიორული ურთიერთობა კერძო სექტორთან ნებისმიერი ფორმით.

2024 წლის 15 ივლისს კოლეჯმა უმასპინძლა ტრეიდერების ჰაბის დამფუძნებელსა და აღმასრულებელ დირექტორს რატი ქირიას, რომელთანაც დაიგეგმა ინვესტიციების განვითარების პროგრამის დანერგვა და განხორციელება კოლეჯთან პარტნიორობის ფარგლებში. აღნიშნული პროგრამა შემუშავებულია საბაკალავრო და სასკოლო სწავლებისთვის, თუმცა პროფესიულ დონეზე ჯერ იმპლემენტირებული არ არის.

- **შედეგი: შესრულდა.**

- **აქტივობა** - პროფესიული სტუდენტების საწარმოო პრაქტიკაზე/პრაქტიკულ პროექტზე/გაცნობით პრაქტიკაზე გაშვების ორგანიზება.

კოლეჯის სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირები პარტნიორ კომპანიებთან გაფორმებული მემორანდუმების/ხელშეკრულებების ფარგლებში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმების საფუძველზე, პრაქტიკული კომპონენტის მოდულების დაწყებამდე, პარტნიორ კომპანიას აწვდის ინფორმაციას გასაგზავნ ჯგუფში არსებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობის, განსახორციელებელი მოდულის შინაარსისა და მოდულის დაწყება-დასრულების თარიღების შესახებ. პრაქტიკული კომპონენტის მოდულის განმახორციელებლად კოლეჯს განსაზღვრული ჰყავს სათანადო კომპეტენციის მქონე პროფესიული განათლების მასწავლებელი. კოლეჯის სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირები პერიოდულად ახორციელებენ მონიტორინგს კომპანიაში მოდულის მიმდინარეობის დროს.

- **შედეგი: შესრულდა.**

სტრატეგიული მიზანი IV - კურსდამთავრებულთა რაოდენობის გაზრდა:

- **ამოცანა** - *არაფორმალური განათლების მექანიზმის ამოქმედება.*
- ***აქტივობა*** - *არაფორმალური განათლების მქონე პირების გამოკითხვა არაფორმალური განათლების აღიარების თაობაზე.*
- **აქტივობა - არაფორმალური განათლების აღიარების უფლების მოპოვება.**

კოლეჯი თბილისის მერიის და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაკვეთით ახორციელებს სხვადასხვა მიმართულების მოკლევადიან სასერტიფიკატო პროგრამას, სადაც გაცემული სერტიფიკატი სახელმწიფოს მიერ არ არის აღიარებული და მიღებული განათლება არაფორმალური განათლების ფარგლებში მოიაზრება. კოლეჯის ადმინისტრაცია პერიოდულად ატარებს ამ პროგრამების მსმენელების გამოკითხვას, არაფორმალური განათლების აღიარების მიზნით. კოლეჯის ერთ-ერთი თანამშრომელი არაფორმალური განათლების აღიარების სერტიფიცირებული კონსულტანტია, აღნიშნულის საფუძველზე კოლეჯმა 2023 წლის ივლისში სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შეიტანა განაცხადი არაფორმალური განათლების აღიარების უფლების მოპოვების თაობაზე, ხოლო ცენტრის მიერ უფლების მოპოვების შესახებ დასტური 2023 წლის სექტემბერში გაიცა. ამასთან, 2024 წლის მაისი-ივლისის პერიოდში, კოლეჯმა განახორციელება არაფორმალური განათლების აღიარება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულების“ ფარგლებში და არაფორმალური განათლების აღიარების კომისიის საფუძველზე გასცა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი - დიპლომი.

- **შედეგი: შესრულდა.**

- **ამოცანა** - *განთესვის მაჩვენებლის მინიმალიზება.*
- ***აქტივობა*** - *მიზეზების კვლევა.*
- ***აქტივობა*** - *კვლევის შედეგების ანალიზი/რეკომენდაციების შემუშავება.*

კურსდამთავრებულთა რაოდენობის გაზრდის მიზნით განთესვის მაჩვენებლის მინიმუმამდე დაყვანა აუცილებელი პირობაა კოლეჯის განვითარებისათვის. კოლეჯი მუდმივად სწავლობს სწავლის პერიოდში პროფესიული სტუდენტების სტატუსის შეჩერებისა და სტატუსის შეწყვეტის სტატისტიკას. პროფესიული სტუდენტების სტატუსის შეწყვეტის ძირითადი მიზეზი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საკონტაქტო საათების 30% არასაპატიო მიზეზით გაცდენაზე მოდის, რაც 60-65%-ს შეადგენს. შედარებით მცირე პროცენტი, სწავლის შედეგების მიუღწევლობაზე მიუთითებს. პროფესიულ სტუდენტებთან კომუნიკაციით დგინდება, რომ საკონტაქტო საათების გაცდენის მიზეზი პარალელურად სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა და/ან დასაქმებაა. კითხვაზე, რატომ გადაწყვიტეს პარალელურად პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩაბარება და სწავლა, პროფესიული სტუდენტები აღნიშნავენ, რომ მათი მოლოდინის თანახმად, ისინი მოახერხებდნენ ერთდროულად რამდენიმე დაწესებულებაში სწავლისა და სამსახურებრივი საქმიანობის შეთავსებას. კოლეჯის ადმინისტრაცია ასეთ პროფესიულ სტუდენტებს ურჩევს, სწორად განსაზღვრონ პრიორიტეტები, სათანადოდ შეარჩიონ მომავალი პროფესია და/ან მოკლევადიანი პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამებზე შეაჩერონ არჩევანი. გარდა ამისა, კოლეჯი განთესვის მაჩვენებლად მიიჩნევს პროფესიული განათლების იოლად ხელმისაწვდომობას, დაფინანსების მრავალჯერადობასა და სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის გადავადების გამო კოლეჯში ჩაბარებას.

- **შედეგი: ვერ შესრულდა.**

სტრატეგიული მიზანი V - დამატებითი ეკონომიკური საქმიანობის დანერგვა, წახალისება, ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება.

- **ამოცანა** - *დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობის სტრატეგიის დაგეგმვა.*
- ***აქტივობა*** - *ახალი პროექტების შემუშავება-დაგეგმვა.*

პროფესიული განათლების შესახებ კანონის გათვალისწინებით, რომელიც პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებას (მათ შორის, სასწავლო პროცესში შექმნილი პროდუქციის რეალიზაცია/ანაზღაურებადი მომსახურების გაწევა, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული ფინანსური სახსრების მოზიდვა, ისეთი ეკონომიკური საქმიანობიდან შემოსავლის მიღება, რომელიც ადამიანის ჯანმრთელობისათვის სახიფათო არ არის და სწავლების ხარისხზე უარყოფითად არ მოქმედებს) გულისხმობს, კოლეჯი ყოველთვის გამოხატავს მზაობას ამ კუთხით. ამის დასტურია კოლეჯის მიერ დამატებითი ეკონომიკური საქმიანობის ერთ-ერთ სტრატეგიულ მიზნად დასახვა.

იმის გათვალისწინებით, რომ კოლეჯის მიერ დამატებითი ეკონომიკური საქმიანობის განხორციელება ამ ეტაპზე არ არის სრულად თავსებადი მოქმედ კანონმდებლობასთან, მათ შორის, საგადასახადო რეგულაციებთან, კოლეჯების მოთხოვნის საფუძველზე, ა(ა)იპ - პროფესიული უნარების სააგენტოს ორგანიზებით, 2023 წლის ნომბერ-დეკემბრის პერიოდში საჯარო სამართლის იურიდიული პირ კოლეჯებში ეკონომიკური საქმიანობის დანერგვის მიზნით, ჩატარდა ტრენინგების ციკლი 3 მიმართულებით (1. ბიუჯეტირება, 2. ბუღალტრული აღრიცხვა და ანგარიშგება, 3. სასწავლო პროცესში და/ან კოლეჯის საქმიანობის ფარგლებში შექმნილი მზა პროდუქციის შემდგომი რეალიზების პროცესის საგადასახადო კანონმდებლობაზე მორგება), რომელსაც დაწესებულებების საფინანსო საქმიანობაზე პასუხისმგებელი პირები და ბუღალტრები ესწრებოდნენ. ტრენინგს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს აკადემიის მოწვეული ტრენერები უძღვებოდნენ. ტრენინგის ფარგლებში ცხადად გამოიკვეთა, რომ 2022 წლის 12 იანვრის „სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროცესში შექმნილი პროდუქციის/გაწეული ანაზღაურებადი მომსახურების ღირებულების განსაზღვრის, აღნიშნული საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის განკარგვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილება არ არის სრუყოფილად თავსებადი მოქმედ საგადასახადო კოდექსთან. აღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფო კოლეჯებს უჭირთ დამატებითი ეკონომიკური საქმიანობის დაწყება.

აღსანიშნავია, რომ ამ მიზნით, კოლეჯი მონაწილეობდა საპილოტე პროექტში „სამეწარმეო ეკოსისტემის განვითარება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში“, რომლის ფარგლებშიც ხის მხატვრული დამუშავებისა და სამკერვალოს სასწავლო პროგრამის წარმომადგენლებმა შექმნეს კონკრეტული პროდუქტი საბავშვო თემატიკის გარშემო. კოლეჯი წარმოდგენილი იყო სამკერვალო პროდუქციით, რომლის შექმნაშიც პროფესიული განათლების მასწავლებლებსა და პროფესიულ სტუდენტებთან ერთად ჩართული იყო ა(ა)იპ - პროფესიული უნარების სააგენტო და დიზაინერი ქეთევან სილაგაძე. პროექტი მოიცავდა სამუშაო შეხვედრებს როგორც ონლაინ, ისე დასწრების სახით, ასევე, შექმნილი ნამუშევრების გამოფენას.

- **შედეგი: შესრულდა.**

- **ამოცანა** – *სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიის ფუნქციონირება.*
- ***აქტივობა*** **- სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიის პოტენციალის განვითარება.**
- **აქტივობა - ბიზნეს სექტორთან თანამშრომლობით ინოვაციური ბიზნეს პროექტების იდენტიფიცირება და განვითარება.**

კოლეჯში 2016 წლიდან ფუნქციონირებს „სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორია“ - ე.წ. FAB-LAB, რომლის ამოქმედების ინიციატორი და მხარდამჭერია საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრო. ლაბორატორია კოლეჯის ნებისმიერ პროფესიულ სტუდენტს აძლევს საშუალებას რეალობად აქციოს საკუთარი ინოვაციური იდეები და ამავდროულად, შეიძინოს ახალი ცოდნა მათი ბიზნეს პროექტებად ქცევის სახით. რაც შეეხება აღჭურვილობას, იგი უნიკალურია და რეგიონის მასშტაბით ერთ-ერთ თანამედროვე ტექნიკით არის აღჭურვილი, როგორიცაა: 3D პრინტერი, 3D სკანერი, პროგრამული ლაზერმჭრელი, ვაკუუმფორმირების მანქანა, პლოტერი, CNC დანადგარი და ა.შ. კოლეჯის მიერ ლაბორატორია მთლიანობაში მომზადებულია მატერიალურ-ტექნიკური მიმართულებით, შესწავლილ იქნა ამოქმედებისათვის აუცილებელი ბაზარი და მომწოდებლების ნუსხა. ამ დროისთვის, დარგის სპეციალისტებთან კონსულტაციების შედეგად ლაბორატორია მთლიანად გამართულია და ყველა საჭირო მასალითა და ნედლეულით მომარაგებულია.

კოლეჯი 2020 წლიდან ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „ინდუსტრიული დიზაინის შესრულება“, რომლის ფარგლებში, პროფესიული სტუდენტები პროფესიული განათლების მასწავლებლების ხელმძღვანელობით ქმნიან სათანადო პროდუქციას. კოლეჯისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ ჩატარებული ტრენინგებისა და მათი რეკომენდაციების გათვალისწინების საფუძველზე, მოხერხდეს ლაბორატორიის ფუნქციურად დატვირთვა და იმ შესაძლებლობების სრულად გამოყენება, რასაც FAB-LAB-ის კონცეფცია ითვალისწინებს ინოვაციების და კვლევის შედეგების კომერციალიზაციისა და ინოვაციური მეწარმეობის ხელშეწყობაში.

2023 წლის მიღების ფარგლებში ინდუსტრიული დიზაინის შესრულების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე 23 პროფესიული სტუდენტის მიღება განხორციელდა. კოლეჯისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ ჩატარებული ტრენინგებისა და მათი რეკომენდაციების გათვალისწინების საფუძველზე, მოხერხდეს ლაბორატორიის ფუნქციურად დატვირთვა და იმ შესაძლებლობების სრულად გამოყენება, რასაც FAB-LAB-ის კონცეფცია ითვალისწინებს ინოვაციების და კვლევის შედეგების კომერციალიზაციისა და ინოვაციური მეწარმეობის ხელშეწყობაში. ამ მიზნით, კოლეჯში იმყოფებოდნენ პროფესიული უნარების სააგენტოს წარმომადგენლები და დარგის ექსპერტი ლელა მაისურაძე, რომლებმაც ფაბ-ლაბის ლაბორატორია მოინახულეს და მისი განვითარების პერსპექტივებზე ისაუბრეს.

- **შედეგი: შესრულდა.**

სტრატეგიული მიზანი VI - პროფესიული განათლების პოპულარიზაციის ხელშეწყობა.

- **ამოცანა** – *პროფესიული სტუდენტების ჩართულობის გაზრდა კოლეჯის საქმიანობასა და აქტივობებში.*
- **აქტივობა - პროფესიული სტუდენტების/მსმენელების ინტერესების კვლევა.**
- **აქტივობა - კვლევის შედეგების გათვალისწინებით, აქტივობების დაგეგმვა/განხორციელება.**
- **აქტივობა - სახელმწიფო, ადგილობრივი თვითმმართველობასა და კერძო ორგანიზაციებთან ერთად სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობა.**

კოლეჯის მიერ მუდმივად ხორციელდება პროფესიული სტუდენტების კვლევა მათი სერვისების გაუმჯობესებისა და ინტერესების გათვალისწინების მიზნით. მათი ინტერესების გათვალისწინება ხდება როგორც კოლეჯის ოფიციალურ მეილზე შემოსული შეტყობინებების, ისე სოციალური ქსელის უკუკავშირისა და მატერიალური სახით შემოსული განცხადებების დამუშავების საფუძველზე.

ა(ა)იპ - პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ მომზადდა ვიდეორგოლი, რომელიც ასახავს ინტეგრირებული მიდგომით განხორციელებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაციას, როგორც საბაზო განათლების შემდეგ სრული ზოგადი განათლების მიღების ალტერნატიულ სრულფასოვან გზას. საიმიჯო კლიპში მონაწილეობენ კოლეჯის ინტეგრირებული პროგრამის კურსდამთავრებულები და სტუდენტები. ასევე, დამზადდა ბროშურა ინტეგრირებული პროგრამების შესახებ, სადაც კოლეჯის მოქმედი პროფესიული პროფესიული სტუდენტის ელისაბედ მაისურაძის ისტორიაა აღწერილი.

„კომერსანტის“ რადიოეთერში, ჟურნალისტის, თ.სიბოშვილის გადაცემაში „პროფესიული განათლების ნავიგატორი“, კოლეჯის ხელმძღვანელის, ნოდარ ხარაზიშვილის მიერ დეტალურად იქნა აღწერილი, რას გულისხმობს ინტეგრირებული პროფესიული პროგრამები, რა ეტაპზე შეუძლიათ მასში ჩართვა მსურველებს და რამდენად უწყობს ხელს ეს პროგრამები დასაქმებას. გადაცემაში ინტეგრირებული პროფესიული პროგრამების წარმატებულ კურსდამთავრებულებზეც ისაუბრეს (გადაცემის სტუმარი იყო ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“, კურსდამთავრებული ანნა ყველაშვილი).

ქალთა საინფორმაციო ცენტრის მიერ მომზადდა სარეკლამო პოსტერები პროფესიული სტერეოტიპების შესახებ, სადაც მონაწილეობა მიიღებს კოლეჯის „ინფორმაციის ტექნოლოგიისა“ და „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულების“ პროფესიული პროგრამების მდედრობითი სქესის სტუდენტებმა.

კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საფინანსო სერვისების“ სტუდენტთა გამოსაშვები ღონისძიება გაიმართა. წვეულებაზე მოწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის, ა(ა)იპ - პროფესიული უნარების სააგენტოსა და კოლეჯის პარტნიორი ორგანიზაციების წარმოადგენლები. ღონისძიებას უძღვებოდნენ პროგრამის ხელმძღვანელი გიული გურგენიძე და პროფესიული განათლების მასწავლებელი ბექარ კილასონია. აღსანიშნავია, რომ მათი მონდომებისა და ენთუზიაზმის, პროფესიონალიზმისა და საქმისადმი ერთგულების დამსახურებით, „საფინანსო სერვისების“ პროფესიული სტუდენტები მაღალი აკადემიური მოსწრებითა და დასაქმების მაჩვენებლით გამოირჩევიან. აღნიშნული აქტივობის ფარგლებში, სერტიფიკატები გადაეცათ მოწვეულ სტუმრებს პროფესიული განათლების განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის. ისინი სხვადასხვა ნომინაციებითა და პრიზებით დაჯილდოვდნენ, სტუმრებმა წარმატებები უსურვეს „საფინანსო სერვისების“ პროფესიულ სტუდენტებს და პროფესიული განათლების მნიშვნელობაზე, განვითარების ეტაპებსა და შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ისაუბრეს.

კოლეჯში მუდმივად ტარდება სტუდენტების მხარდამჭერი ღონისძიებები როგორც სწავლის დაწყების, ისე დასრულების აღსანიშნავად. 2023 წელს ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისთვის 15 ნოემბერს სწავლა დაიწყო. კოლეჯმა, პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის განხორციელების ფარგლებში, სწავლის დაწყებასთან დაკავშირებული ცერემონია გამართა. გამომდინარე იქიდან, რომ ახალი პროფესიული სტუდენტები განსხვავებულ გარემოში აღმოჩნდნენ, კოლეჯის მხრიდან, მოხდა მათი წამახალისებელი აქტივობებისა და მხარდამჭერი ღონისძიებების უზრუნველყოფა. ღონისძიება მოიცავდა დირექციისა და ადმინისტრაციის გაცნობას, მისალმებასა და მილოცვას, ერთმანეთის გაცნობის აქტივობებს, თამაშებს, რამაც ახალგაზრდებს სოციალური ინტერაქციის საშუალება მისცა. ღონისძიების ფარგლებში, ახალგაზრდები გაეცნენ კოლეჯში არსებულ სტუდენტურ სერვისებს და გაერთიანდნენ საერთო ინტერესების გარშემო, შესაბამის კლუბებში. აქტივობები ფოტო-ვიდეო მასალის ჩვენების პარალელურად, მუსიკალური გაფორმებისა და სხვა სადღესასწაულო გასართობების ფონზე წარიმართა. სპეციალურად ამ დღისთვის, ფაბლაბის ბაზაზე დამზადდა სპეციალური აქსესუარები და დამონტაჟდა ე.წ. SPINIT 360-ის აპარატი სადღესასწაულო მომენტების შექმნისთვის.

ექსტრაკურიკულური ღონისძიებების ფარგლებში, დაწესებულება მუდმივად უზრუნველყოფს სხვადასხვა სპორტული და კულტურული აქტივობის ჩატარებას პროფესიული სტუდენტების ინტერესებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით. არაფორმალური ღონისძიებების განხორციელების მიზნით, კოლეჯში დაარსდა კლუბები: მწვანე კლუბი, სპორტის კლუბი, ჭადრაკის კლუბი, ინტელექტუალთა კლუბი, საქველმოქმედო კლუბი, ქალთა კლუბი. პროფესიულ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, გაწევრიანდნენ მათთვის საინტერესო კლუბში და დაორგანიზონ შესაბამისი თემატიკის აქტივობა.

ლიტერატურული კლუბის ფარგლებში, 2023 წლის 1 დეკემბერს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, „საოფისე საქმის“ პროფესიული სტუდენტის სოფიკო მაჭავარიანის წიგნის პრეზენტაცია მოეწყო.

2023 წლის 27 ოქტომბერს, მასწავლებლის ეროვნული დღისა და იაკობ გოგებაშვილის იუბილესთან დაკავშირებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ინდუსტრიული დიზაინის შესრულება“, N252-ე ჯგუფის პროფესიულმა სტუდენტებმა, სტილისტიკის მოდულის ფარგლებში, მხატვრული კალიგრაფიის ნამუშევრებისა და კერამიკული ნაკეთობების გამოფენა გამართეს.

ექსტრაკურიკულური ღონისძიების ფარგლებში, საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტი „სტარტაპ ჰაბი“ დაიწყო და ნაწილობრივ განხორციელდა. მოეწყო სტუდენტური სივრცე, რომელიც აღიჭურვა პროექტის ფარგლებში შეძენილი ინვენტარით. სტრატაპ ჰაბი პროფესიულ სტუდენტებს სთავაზობს სასწავლო გარემოსგან განსხვავებულ სივრცეს, რომელიც მორგებულია ახალგაზრდების ინტერესებზე, აღჭურვილია კომპიუტერული ტექნიკითა და საჭირო მატერიალური რესურსით. პრეზენტაცია 2023 წლის 17 ნოემბერს კოლეჯსა და პარტნიორი ორგანიზაციის „ცოდნის ტერმინალის“ წარმომადგენლების მიერ გაიმართა. სტარტაპ ჰაბის ამოცანაა მეწარმეობის, ციფრული ტრანსფორმაციისა და ტექნოლოგიური პროგრამების შემუშავება და ამ მიმართულებით დამატებითი დაფინანსების წყაროების მოძიებისა და რეგიონებში ახალგაზრდებისთვის ცოდნის გაზიარება-გადაცემის მიზნით საერთაშორისო საგრანტო პროგრამებში მონაწილეობა. სტარტაპ ჰაბში ჩართვა პროფესიულ სტუდენტებს გაუღრმავებს ციფრულ კომპეტენციებს და მისცემს მოტივაციას, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული პრაქტიკული და თეორიული ცოდნა გამოიყენოს ინოვაციურ წამოწყებებში. ამავე პროექტის ფარგლებში, 2023 წლის 27 ნოემბერს ჩატარდა ვორქშოფი თემაზე: „მეწარმეობა, თანამედროვე ტექნოლოგიური ტრენდები და სამართლებრივი ასპექტები“, რომელიც მიზნად ისახავდა სტუდენტებისთვის მეწარმეობის არსის, ფორმების, სამეწარმეო გარემოს, ფირმების კლასიფიკაციისა და მეწარმეობის სამართლებრივი ფორმების გაცნობას, სამეწარმეო საქმიანობის მართვისა და დაგეგმვის საფუძვლების შესწავლას, ბიზნეს-გეგმის შედგენასა და დამუშავებას და სხვა.

2023 წლის 18 დეკემბერს, კოლეჯში სტარტაპ ჰაბის ოფიციალურ გახსნით ღონისძიებაზე იდეების დემო დღე მოეწყო. მონაწილეებმა პრეზენტაციის სახით წარმოადგინეს ბიზნეს იდეები, რომელიც ინკუბაციის პროგრამის ფარგლებში მოამზადეს. ამით პროექტის თეორიული ნაწილი დასრულდა. დარჩენილი პრაქტიკული აქტივობები კი მომავალ წელს განხორციელდება.

2023 წლის 13 დეკემბერს, სასტუმრო „სტამბაში“, პროექტის „უწყვეტი განათლების უკეთესი შესაძლებლობები პარტნიორობის გზით (CBLLL)“, გაეროს განვითარების პროგრამის მიერ ორგანიზებული შემაჯამებელი ღონისძიებების ფარგლებში გაიმართა თემატური ღონისძიება „კარიერის მართვის ახალი სერვისები პროფესიულ განათლებაში“. ღონისძიების მიზანს წარმოადგენდა პროექტის ფარგლებში ა(ა)იპ - პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში კარიერის მართვის ახალი სერვისების პილოტირების შედეგების შეჯამება ჩართული მხარეების მონაწილეობით და სერვისის დანერგვის სამომავლო პერსპექტივებზე მსჯელობა. პროექტის ფარგლებში პროფესიული უნარების სააგენტო მუშაობდა კარიერის მართვის 3 ახალ სერვისზე:

- საორიენტაციო სერვისი (განკუთვნილია შშმ და სსსმ პირებისთვის და მიზნად ისახავს პროფესიის არჩევის პროცესში ბენეფიციარებისთვის მრავალფეროვანი და ინკლუზიური აქტივობების შეთავაზებას);
- კარიერული განათლების კურსი (განკუთვნილია პროფესიული სტუდენტებისთვის და მიზნად ისახავს სტანდარტიზებული არაფორმალური საგანმანათლებლო კურსის ფარგლებში ბენეფიციარებში კარიერის მართვის უნარების განვითარებას);
- ღია კარის დღეები (განკუთვნილია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის და მიზნად ისახავს ღია კარის დღეების არსებული პრაქტიკის გადახედვას უფრო ორგანიზებული და სტანდარტიზებული მიდგომების გამოყენებით, საჯარო სკოლებისთვის, პროფესიული განათლების დაინტერესებული ინდივიდუალური პირებისა და სოციალური ორგანიზაციებისთვის).

2023 წლის 14 დეკემბერს სასტუმრო „სტამბაში“ პროექტის „უწყვეტი განათლების უკეთესი შესაძლებლობები პარტნიორობის გზით (CBLLL)“ გაეროს განვითარების პროგრამის მიერ ორგანიზებული შემაჯამებელი ღონისძიებების ფარგლებში გაიმართა თემატური ღონისძიება „სამეწარმეო ეკოსისტემების განვითარება პროფესიულ განათლებაში“. ღონისძიების მიზანს წარმოადგენდა პროექტის ფარგლებში უნარების სააგენტოს მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ეკონომიკური საქმიანობების მხარდაჭერის მიზნით გაწეული საკონსულტაციო და მხარდამჭერი აქტივობების შეჯამება და პროექტის ფარგლებში შექმნილი პროდუქციის პრეზენტაცია, მიღებული გამოცდილებების შეჯამება და მასზე დაფუძნებით, დაწესებულებებში სამეწარმეო ეკოსისტემების განვითარების პერსპექტივებზე მსჯელობა. შემაჯამებელ ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო საკონსულტაციო ფირმის „Mindworks” მიერ მეწარმეობის ახალი მოდულის მიხედვით შემუშავებული გემიფიკაციის შედეგები. ასევე, განხილული იყო ფინანსთა სამინისტროს აკადემიის მიერ ჩატარებული ტრენინგის ფარგლებში გამოკვეთილი შესაძლებლობები და გამოწვევები. ღონისძიება

დასრულდება ეკონომიკური საქმიანობის საპილოტე პროექტის ფარგლებში პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების, პროფესიული მასწავლებლებისა და სტუდენტების მიერ მომზადებული ბავშვის ავეჯისა და ტექსტილის ნაწარმის გამოფენით. „UNDP საქართველო“ პროექტს „უწყვეტი განათლების უკეთესი შესაძლებლობები პარტნიორობის გზით (CBLLL)“ უნარების სააგენტოსთან და „მზიან სახლთან“ ერთად ევროკავშირის პროგრამის „Skills 4 job” ფარგლებში ახორციელებდა. პროექტის შემაჯამებელ სამუშაო შეხვედრას ესწრებოდნენ „ევროკავშირი საქართველოსთვის“, გაეროს განვითარების პროგრამის, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, პროფესიული უნარების სააგენტოს წარმომადგენლები, პროექტის ფარგლებში ჩართული და სხვა დაინტერესებული მხარეები, სფეროს ექსპერტები და პროექტის ბენეფიციარები.

პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში კარიერის მართვის ახალი სერვისების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, პროექტის ფარგლებში ა(ა)იპ - პროფესიული უნარების სააგენტომ შეიმუშავა თითოეული სერვისის დანერგვის გზამკვლევი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის, დამხმარე რესურსები და ტრენინგ პროგრამები სერვისში ჩართული სპეციალისტებისა და ბენეფიციარებისთვის. პროექტის ფარგლებში შემუშავებული კარიერის მართვის სერვისების პილოტირება 7 პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში განხორციელდა. პილოტირების პროცესში ჩაერთო 350-ზე მეტი ბენეფიციარი და 20-მდე საჯარო სკოლა, ხოლო სერვისების დანერგვის ხელშეწყობის მიზნით, გაძლიერდა სამიზნე კოლეჯების 50-ზე მეტი სპეციალისტის შესაძლებლობები. „UNDP საქართველო“ პროექტს „უწყვეტი განათლების უკეთესი შესაძლებლობები პარტნიორობის გზით (CBLLL)“ პროფესიული უნარების სააგენტოსთან და „მზიან სახლთან“ ერთად ევროკავშირის პროგრამის „Skills4Job” ფარგლებში ახორციელებს.

2024 წლის 25 იანვარს კოლეჯში გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და ძალადობის (ქალთა მიმართ ძალადობის, ოჯახში ძალადობის, სექსუალური ხასიათის ძალადობის) მსხვერპლთა დაცვის შესახებ. შეხვედრას უძღვებოდა სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს წარმომადგენელი მარიკა ჟორდანია. შეხვედრა ინტერაქციულ რეჟიმში წარიმართა და პროფესიულ სტუდენტებში ძალიან დიდი ინტერესი გამოიწვია. მნიშვნელოვანია გაძლიერდეს დაცვის ღონისძიებებით უზრუნველყოფა, რათა მოხდეს ძალადობის დროული გამოვლენა, მსხვერპლთა დაცვა და დახმარება. კოლეჯი უერთდება კამპანიას გენდერული ძალადობის წინააღმდეგ და მიზნად ისახავს პროფესიულ სტუდენტებში ცნობიერების ამაღლებას ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღმოსაფხვრელად. საქართველოში ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მიმართულებით, კვლავ გამოწვევად რჩება შემთხვევათა დროული გამოვლენა და ეფექტური რეაგირება, ასევე, დახმარების ღონისძიებების სიმცირე, რაც ძალადობის უკიდურესი ფორმის, ფემიციდის მაღალ მაჩვენებელს განაპირობებს.

2024 წლის 26 იანვარს კოლეჯში „გრაფიკული დიზაინის შესრულების“ (ინტეგრირებული მიდგომით) პროფესიული პროგრამის პროფესიული სტუდენტის, საბა კერესელიძის ნამუშევრების გამოფენა მოეწყო. საბა ბავშვობიდან ძერწავს საყვარელი თამაშებისა და მულტფილმების გმირებს. პლასტელინისგან შექმნილმა რობოტებმა, ანიმაციურმა პერსონაჟებმა და ციურმა სხეულებმა დამთვალიერებლებს პოზიტიური განწყობა შეუქმნა.

2024 წლის 14 თებერვალს, ექსტრაკურიკულური ღონისძიებების ფარგლებში, ჭადრაკის კლუბის ინიციატივით, კოლეჯში შაშისა და ჭადრაკის შიდა ტურნირი გაიმართა. პროფესიულ სტუდენტებთან ერთად, შეჯიბრში მონაწილეობა მიიღეს ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა, პროფესიული განათლების მასწავლებლებმა და მიმდინარე მოკლევადიანი პროგრამების მსმენელებმა. ჭადრაკის ჩემპიონატის გამარჯვებული ვებტექნოლოგიების პროფესიული სტუდენტი ნუკრი მაკალათია გახდა, ხოლო შაშის გარდამავალი თასი, თავდაცვის სამინისტროსთან თანამშრომლობის საფუძველზე მიმდინარე მოკლევადიანი პროგრამის მსმენელებმა - სამხედრო საჰაერო ძალების წარმომადგენლებმა მოიპოვეს. გამარჯვებულებს სიმბოლური საჩუქრები გადაეცათ.

2024 წლის 7 მარტს, ქალთა კლუბის ფარგლებში, ჩატარდა ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, სადაც მოწვეული იყო ქალთა სოლიდარობის ქსელისა და პროგრესული ფორუმის წარმომადგენლები. შეხვედრას ესწრებოდნენ კოლეჯში დასაქმებული ქალები. ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო გენდერული ანგარიში როგორც დასაქმებულების, ისე პროფესიული სტუდენტების სტატისტიკის სახით. მოწვეულმა სტუმრებმა ისაუბრეს ქალის როლის გაძლიერებაზე და მიმოიხილეს შრომის ბაზარზე ჯერ კიდევ არსებული გენდერული უთანასწორობა. დასაქმებულ ქალბატონებს 8 მარტი მიულოცეს და სიმბოლური საჩუქრები და ყვავილები გადასცეს. გარდა ამისა, სპეციალურად ამ დღისთვის კლუბის წევრებმა დაამზადეს პოსტერი „ანაბეჭდების ხე“ და მასზე სიმბოლური აღნიშვნით შეუერთდნენ ქალთა უფლებების დაცვის კამპანიას.

კოლეჯი მუდმივად ზრუნავს მწვანე უნარების კოპმეტენციის განვითარებაზე. ამ მიზნით, 11 მარტს, დაწესებულების ტერიტორიაზე სტუდენტებისთვის ექსტრაკურიკულური აქტივობა მოეწყო. ამჯერად, ავტოსახელოსნოს მიმდებარედ იუკები დაირგო. მნიშვნელოვანია ყველა იმ ღონისძიების მხარდაჭერა, რომელიც ემსახურება ბუნების დაცვასა და ჯანმრთელი გარემოს შექმნას.

2024 წლის 15 მარტს კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ინდუსტრიული დიზაინის შესრულების“ პროფესიულ სტუდენტთა გამოსაშვები ღონისძიება გაიმართა. პროფესიულმა სტუდენტებმა ისაუბრეს პროფესიული განათლების მნიშვნელობაზე, განვითარების ეტაპებსა და ფასდაუდებელ შრომაზე, რომელიც მათმა პროფესიული განათლების მასწავლებელმა ილია სარხოსიდმა გასწია. სწორედ „ინდუსტრიული დიზიანის შესრულების“ პროგრამის საუკეთესო პრაქტიკისთვის დაჯილდოვდა კოლეჯი განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის მიერ „კარგი პრაქტიკის დანერგვის გზით პროფესიული განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობისათვის".

საგრანტო კონკურსის გამარჯვებული პროექტის - მეგობართა ჰაბის ფარგლებში, 2022 წელს, კოლეჯში შეიქმნა თავისუფალი ინკლუზიური სივრცე, სადაც პროფესიულმა სტუდენტებმა და სოციალური საწარმო „ბაბალეს“ ბენეფიციარებმა მიიღეს პრაქტიკული გამოცდილება, დაამყარეს სოციალური ურთიერთობები, რამაც მათ აქტიურ და პასუხისმგებლიან მოქალაქეებად ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი. ერთი მხრივ, პროექტი მოიცავდა ტრენინგ სემინარებს, ვორქშოპებს ადამიანის უფლებების, გარემოს დაცვის საკითხებზე, სოციალურ საწარმოებში ვიზიტებსა და ეკო ღონისძიების ჩატარებას, მეორე მხრივ, ორგანიზაციის ბენეფიცირებისთვის ეს იყო პროფორიენტაციის ღონისძიება, ისინი გაეცნენ კოლეჯში არსებულ პროფესიებს, მოსინჯეს პროფესიული უნარები, ძლიერი და სუსტი მხარეები, რომელიც აუცილებელია პროფესიის სწორად შერჩევისთვის. კოლეჯი უზრუნველყოფს მეგობართა ჰაბის სიცოცხლისუნარიანობას, სწორედ ამიტომ, დაუნის სინდრომის მსოფლიო დღის კვირეულის ფარგლებში, 20 მარტს კოლეჯის პროფესიული სტუდენტები „ბაბალეს“ ეწვივნენ. ისინი აქტიურად ჩაერთნენ საწარმოში მიმდინარე სამუშაოებში, მიიღეს მონაწილეობა თიხის დამუშავებასა და სხვა ხელსაქმეში, გაეცნენ დაუნის სინდრომის 2024 წლის ლოზუნგს #ერთადდავასრულოთსტერეოტიპები და შეიძინეს მათი ნახატებისგან შექმნილი წინდები, რომელიც დაუნის სინდრომის სიმბოლოა. კოლეჯი უზრუნველყობს მეგობართა ჰაბის მდგრადობას და იზრუნებს შენარჩუნდეს მეგობრობის ეს მუხტი პროფესიულ სტუდენტებში.

ფულის გლობალური კვირეული მსოფლიო მასშტაბით 2012 წლიდან აღინიშნება. ის მსოფლიოს 170-ზე მეტ ქვეყანაში ყოველწლიურად, გაზაფხულზე იმართება და მისი მთავარი ამოცანაა, ხელი შეუწყოს ბავშვებსა და ახალგაზრდებში ფინანსური, ეკონომიკური და სამეწარმეო ცნობიერების გაზრდასა და პოპულარიზაციას. კოლეჯი, როგორც პროფესიულ სტუდენტთა განათლებაზე და ცნობიერების ამაღლებაზე ორიენტირებული დაწესებულება, შეუერთდა ზემოაღნიშნულ კვირეულს და 2024 წლის 21 მარტს, „ფულის გლობალურ კვირეულთან“ (GMW) დაკავშირებით, პროფესიული სტუდენტების ჩართულობით უმასპინძლა ტრენინგს თემაზე - „ყალბი ფულის პრევენცია". ღონისძიებას უძღვებოდნენ პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამის ხელმძღვანელი გიული გურგენიძე და პროფესიული განათლების მასწავლებელი ბექარ კილასონია. აქტივობაზე მოწვეულ იყვნენ კოლეჯის პარტნიორები საფინანსო და სავაჭრო ორგანიზაციებიდან. ტრენინგში მონაწილეობისათვის, მოწვეულ სტუმრებს გადაეცათ სერტიფიკატები.

2024 წლის 26 მარტს, პროფესიული სტუდენტებისთვის ჩატარდა ტრენინგი ფინანსური განათლების სხვადასხვა საკითხზე: დაზოგვა, ბიუჯეტირება, ფინანსური უსაფრთხოება. ტრენინგი განხორციელდა საქართველოს ეროვნული ბანკისა და მის მიერ დაარსებული ფინანსური

განათლების პლატფორმის, www.finedu.gov.ge - ფინედუს ორგანიზებით. მონაწილეებს გადაეცათ საგანმანათლებლო მასალა (ბროშურები) და ტრენინგ-კურსის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატები.

2024 წლის 29 მარტს კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, „გრაფიკული დიზაინის შესრულების“ პროფესიულ სტუდენტთა გამოსაშვები ღონისძიება გაიმართა. ღონისძიების ფარგლებში, მოეწყო კოლეჯის პროფესიული სტუდენტების ნამუშევრების და პორტფოლიოების ჩვენება. გრაფიკული დიზაინის ცოდნა უამრავ პოზიტიურ შესაძლებლობებს სთავაზობს ინდივიდებს შექმნან უნიკალური, ინოვაციური და ვიზუალურად მიმზიდველი დიზაინი. გრაფიკული დიზაინი ფართო სფეროა, რომელიც გთავაზობთ კარიერული შესაძლებლობების ფართო სპექტრს სხვადასხვა ინდუსტრიებში, როგორიცაა: რეკლამა, მარკეტინგი, გამოცემა, ვებდიზაინი და სხვა. დღევანდელ ციფრულ ეპოქაში ვიზუალური კომუნიკაციის მზარდი მნიშვნელობის გამო, დიდი მოთხოვნაა კვალიფიციურ გრაფიკულ დიზაინერებზე, რომლებსაც შეუძლიათ შექმნან დამაჯერებელი და ეფექტური დიზაინი.

2024 წლის 30 მარტს, აღნიშნული კვირეულის ფარგლებში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საფინანსო სერვისების“ პროფესიულმა სტუდენტებმა და პროფესიული განათლების მასწავლებლებმა მოქალაქეებს გააცნეს აღნიშნული კვირეულის მნიშვნელობა და აჩვენეს ფულის დამცავი ნიშნები. კამპანია მიზნად ისახავს ახალგაზრდების ფინანსური განათლებისა და ინკლუზიის შესახებ ცნობიერების ამაღლებას. წლევანდელმა თემამ, „იხელმძღვანელე ფულის დაზოგვაში“ უამრავ ადამიანს და ორგანიზაციას მისცა მოტივაცია ქმედებისკენ. მთელი კვირის განმავლობაში, ახალგაზრდები მონაწილეობდნენ ვორქშოფებში, სემინარებსა და სხვა ღონისძიებებში, რომლებიც მიზნად ისახავდა ფულის დაზოგვის სწავლებასა და ფინანსების სწორად მართვას. აღნიშნული კვირეული აძლევს შესაძლებლობას მომავალ თაობას, ააშენოს უსაფრთხო და წარმატებული მომავალი.

2024 წლის 3 აპრილს გაიმართა კონკურსის „პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ექსტრაკურიკულური აქტივობების დანერგვა და განვითარების“ ფარგლებში გამარჯვებული პროექტის - „სტარტაპ ჰაბის“ დასკვნითი ღონისძიება. პროექტის აქტივობების შესაბამისად, მოეწყო გამოფენა, რომლისთვისაც დაიბეჭდა პროექტის ამსახველი ფოტოსურათები. ღონისძიებაზე გაიმართა ვიდეოს პრეზენტაციაც, რომელიც დოკუმენტური ხასიათისაა და ასახავს სტარტაპ ჰაბის პროექტის მიმდინარეობას. პარტნიორი ორგანიზაციის მიერ მოხდა Elevator/Investor Pitch პრეზენტაციის მომზადება და საგრანტო კონკურსებში მონაწილეობის სიმულაცია. ამ მიზნით, ღონისძიებაზე ონლაინ ჩაერთო მოწვეული ინვესტორი ჯონ ჰოლმსი - VC ინვესტორი და ბრიტანული Advantage Creative აღმასრულებელი დირექტორი, რომელმაც პრაქტიკული რჩევები გაუზიარა სტარტაპ ჰაბის მონაწილეებს წარმატებული Pitch-ის შესაქმნელად. შეხვედრა წარიმართა პანელურ რეჟიმში, სიტყვით გამოდიოდნენ პროექტში ჩართული მხარეები, მათ შორის, სტარტაპერი გიორგი გელაშვილი, პროფესიული უნარების სააგენტოს წარმომადგენელი მარიამ ნიკოლაშვილი, „ცოდნის ტერმინალის“ დირექტორი თეონა ბებია და პროფესიული სტუდენტი თამარ გარიშვილი. მონაწილეებმა შეაჯამეს პროექტის აქტივობები, ისაუბრეს არაფორმალური განათლების მნიშვნელობაზე, პროექტის მდგრადობის უზრუნველყოფასა და მეწარმეობის კომპეტენციის განვითარების შესაძლებლობებზე. პანელური დისკუსიის შემდეგ, პროექტის მონაწილეებს მიესალმა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელი, ნანი დალაქიშვილი. მან მადლობა გადაუხადა კოლეჯის დირექციას ექსტრაკურიკულური აქტივობების წარმართვისთვის და აღნიშნა, რომ სტუდენტური სერვისის განვითარება პირდაპირ აისახება ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფაზე. აღნიშნულ ღონისძიებას, ასევე, ესწრებოდნენ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისა და ა(ა)იპ - პროფესიული უნარების სააგენტოს წარმომადგენლები. სტუმრებმა წარმატებულ 30 მონაწილეს სერტიფიკატები გადასცეს.

დედაენის დღესთან დაკავშირებით, კოლეჯში ლიტერატურული შეჯიბრება და კალიგრაფიის კონკურსი ჩატარდა. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ სხვადასხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტებით დაკომპლექტებული გუნდები. კონკურსში მონაწილეობდნენ არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებიც, რომელთაც მონაწილეობისთვის სპეციალური სერტიფიკატები გადაეცათ. შეჯიბრება ქართული ენის მოდულის განმახორციელებლის, ნინო სირაძის ორგანიზატორობით მოეწყო. ჟიურის მიერ გამოვლენილ გამარჯვებულებს გადაეცათ სიმბოლური საჩუქრები და სერტიფიკატები. „1978 წლის 14 აპრილს, რუსთაველის გამზირზე შეკრებილმა რამდენიმე ათასმა ადამიანმა სიცოცხლის რისკის ფასად დაიცვა ქართული ენა – ჩვენი თვითმყოფადობისა და იდენტობის საფუძველი“ - აღინიშნა ღონისძიებაზე და მოუწოდეს პროფესიულ სტუდენტებს, დაიცვან ჩვენი თანამემამულეების თავდადებით შენარჩუნებული მშობლიურ ენა.

„ფოტოვიზუალიზაციის“ მოდულის ფარგლებში, კოლეჯის პროფესიულმა სტუდენტებმა მხიარული ფოტო-აქტივობა მოაწყვეს. ამჯერად, ფოტოსესიის თემა ანიმე იყო. პროფესიული სტუდენტების მიერ მოეწყო სიმულაციური ფოტოსტუდია, სადაც ნებისმიერ მსურველს იაპონური ტანსაცმლითა და აქსესუარებით შეეძლო სურათის გადაღება. „გრაფიკული დიზაინის შესრულების“ პროფესიული სტუდენტების მიერ, ზოგიერთი ფოტო დამუშავდა Adobe Photoshop - ის საშუალებით. ღონისძიების მონაწილეები, ასევე, შეუერთდნენ „საკურას ყვავილობის დღეებს“ საქართველოს ეროვნულ ბოტანიკური ბაღში, რომელიც ტრადიციული იაპონური სახვითი ხელოვნების „შოდოს“ წარმოდგენითა და იაპონური ჩაის ცერემონიალით გაიხსნა.

2024 წლის 22 აპრილს დედამიწის დღესთან დაკავშირებით, მწვანე კლუბის ინიციატივით, ფაბლაბში გამოყენებული მასალის ნარჩენებისგან დამზადდა სპეციალური ყუთები მაკულატურისა და პლასტმასის შეგროვების მიზნით, რომელიც მეორადი გადამუშავებისთვის გადაეცემა საქართველოში მოქმედ საწარმოებს. პროექტი მომზადდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, „სამკერვალო წარმოების“ N266 სასწავლო ჯგუფის პროფესიული სტუდენტების მიერ, სამოქალაქო განათლების მოდულის ფარგლებში. კოლეჯი მიესალმება პროფესიული სტუდენტების სამოქალაქო ინიციატივებს და მხარს უჭერს მათ განხორციელებაში. ამ მიზნით, ბატონი ნოდარ ხარაზიშვილი პირადად იყო ჩართული მწანე კლუბის აქტივობებში და მოუწოდა ყველას გარემოზე ზრუნვისა და ბუნების გაფრთხილებისკენ.

2024 წლის 2 მაისს, სტუდენტური სერვისის ხელშეწყობის ფარგლებში, კოლეჯში სხვადასხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროესიული სტუდენტების მიერ შესრულებული ნახატების გამოფენა გაიმართა. წარმოდგენილი ნამუშევრების ავტორები „გრაფიკული დიზაინის შესრულების", „ინდუსტრიული დიზაინის შესრულების", „საოფისე საქმისა" და ინტეგრირებული პროგრამების წარმომადგენლები იყვნენ. კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა შემოქმედებითი უნარის აღიარებასა და მხარდაჭერას როგორც სწავლის პერიოდში, ისე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგაც.

2024 წლის 2 მაისს, კოლეჯის პროფესიულმა სტუდენტებმა წარმატებით დაასრულეს „ბუღალტრული აღრიცხვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. აღნიშნულთან დაკავშირებით, კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლების, პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და პროფესიული სტუდენტების თანდასწრებით გაიმართა სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული შემაჯამებელი პრეზენტაცია, რომლის ფარგლებშიც, პროფესიულმა სტუდენტებმა ინდივიდუალური პროექტები წარმოადგინეს.

2024 წლის 28 მაისიდან 10 ივნისის ჩათვლით, სტუდენტური სერვისის ხელშეწყობის ფარგლებში, კოლეჯის „საოფისე საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტის, სოფიკო მაჭავარიანის ნახატების გამოფენა მოეწყო.

5 ივნისი გარემოს დაცვის მსოფლიო დღე - დრო ბუნებისთვის. ყოველი წლის 5 ივნისს მსოფლიოში გარემოს დაცვის დღე აღინიშნება. ამ დღის ტრადიცია 1974 წლიდან იღებს სათავეს და ხელს უწყობს მსოფლიოში ცნობიერების ამაღლებას და გარემოს დაცვის მიმართულებით მოქმედებას. ყოველწლიურად გარემოს დაცვის მსოფლიო დღე ყურადღებას ამახვილებს ჩვენი დროის ყველაზე მნიშვნელოვან ეკოლოგიურ გამოწვევებზე. მიმდინარე წელს, აღნიშნული დღის თემა იყო მიწის აღდგენა, გაუდაბნოება და გვალვამედეგობა. კოლეჯი ინტენსიურად ახორციელებს გარემოს დაცვის მიმართულებით სხვადასხვა ღონისძიებას. წელს, მწვანე კლუბის ფარგლებში, პროფესიულმა სტუდენტებმა ეკო რობოტი შექმნეს. ეკო პროექტი მუყაოს ყუთებისა და პენოპლასტის ნარჩენების მეორად გამოყენებას ემსახურებოდა. გარემოსდაცვითი დღის აღნიშვნა მიზნად ისახავს ადამიანთა

პასუხისმგებლობის გაცნობიერებას ბუნების მიმართ, გარემოს მდგრადი განვითარებისათვის ხელშეწყობას და გარემოს შენარჩუნებისა და გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში საზოგადოების აქტიურ ჩართვას.

კოლეჯი მწვანე კლუბმა 7 ივნისს საერთაშორისო სკოლის მოსწავლეებს უმასპინძლა. სტუმრები აქტიურად ჩაერთნენ კოლეჯის ტერიტორიაზე ყვავილების დარგვის პროცესში. პროფესიულმა სტუდენტები მათ გარემოს დაცვის მნიშვნელობაზე ესაუბრნენ. ყვავილები გადამწყვეტ როლს ასრულებენ ეკოსისტემების შენარჩუნებაში, საკვების წარმოებაში და ადამიანის სიცოცხლისა და კულტურის გამდიდრებაში. შესაბამისად ყვავილები ნამდვილად იმსახურებენ მოვლასა და გამრავლებას, ჩვენს ცხოვრებასა და კულტურაში შეტანილი წვლილისთვის, რომ აღარაფერი ვთქვათ მათ როლზე ჩვენს ბუნებრივ ეკოსისტემაში. ყვავილების დარგვის აქცია ახალგაზრდებისთვის შემეცნებითი, მეგობრული და მხიარული აქტივობა აღმოჩნდა.

2024 წლის 11 ივნისს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულების“ №246 ჯგუფის სტუდენტებმა პრაქტიკული პროექტის შემაჯამებელი პრეზენტაცია წარმოადგინეს. მათი მასწავლებლების, რევაზ თოლორდავასა და დავითი სოლომნიშვილის თქმით, პროფესიული სტუდენტები ხოჭის ტბას მთელი წლის განმავლობაში იკვლევდნენ. GPS ხელსაწყოს გამოყენებით შეიქმნა საკოორდინატო სისტემა ხოჭის ტბის არეალზე - გეგმიური, X და Y საკოორდინატო სიბრტყული და სიმაღლური, Z (ბალტიის ზღვის დონეზე) ქსელის მეშვეობით. მითითებულ წერტილებზე განთავსდა ტაქეომეტრი, რომლის გაორიენტირების შემდეგ, აიგეგმა ხოჭის ტბის მთელი არეალი, ტბის სანაპირო ზოლი და ფსკერი. პრაქტიკული პროექტის ფარგლებში, „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულების“ დამამთავრებელმა პროფესიულმა სტუდენტებმა ადმინისტრაციის წარმომადგენლებსა და პროფესიული განათლების მასწავლებლებს თავიანთ სახელზე გაფორმებული არარსებული ნაკვეთების საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზები დაურიგეს, რამაც ღონისძიება უფრო მხიარული და ხალისიანი გახადა.

2024 წლის 13 ივნისს „გრაფიკული დიზაინის შესრულების“ ინტეგრირებული პროფესიული პროგრამის პრაქტიკული პროექტის პრეზენტაცია გაიმართა. N225 ჯგუფის დამამთავრებელმა პროფესიულმა სტუდენტებმა თავიანთი პორტფოლიოები და ნამუშევრები წარმოადგინეს. შედეგის დადასტურების საფუძველზე, გრაფიკული დიზაინის შესრულების პროფესიულ სტუდენტებს მიენიჭებათ კვალიფიკაცია „ციფრულ ხელოვნებაში". ინტეგრირებული პროფესიული პროგრამები, საბაზო განათლების შემდეგ, სრული ზოგადი განათლების მიღების ალტერნატიული და სრულფასოვანი გზაა. სამწლიანი პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულები მიიღებენ ატესტატთან გათანაბრებულ პროფესიულ დიპლომს.

2024 წლის 17 ივნისს კოლეჯის N247 ჯგუფის სტუდენტებმა დღეს წარმატებით დაასრულეს „სამკერვალო წარმოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული საწარმოო პრაქტიკის ფარგლებში, პროფესიულმა სტუდენტებმა თავიანთი ნამუშევრების ჩვენება გამართეს, სადაც მონაწილეებმა მოდულის ფარგლებში შეკერილი ქალის ტანსაცმელი და ეროვნული სამოსი წარმოადგინეს. კოლეჯის დირექციისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა მიულოცეს პროფესიულ სტუდენტებს პროგრამის დასრულება და წარმატებები უსურვეს მომავალ მკერავებს პროფესიულ საქმიანობაში. ასევე, გამოთქვეს მზადყოფნა, მათთან მუდმივი თანამშრომლობისა და კარიერული მხარდაჭერის შესახებ.

2024 წლის 17 ივნისს კოლეჯში ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, „კომპიუტერული ქსელი და სისტემების" პროფესიულ სტუდენტთა პრაქტიკული პროექტის პრეზენტაცია გაიმართა. აღსანიშნავია, რომ 2020 წელს, 13 წლიანი წყვეტის შემდეგ, საქართველოს პროფესიული განათლების სფერომ პირველად მიიღო პროფესიული სტუდენტები საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე. 3 წლიანი სწავლების ციკლი დასრულდება სრული ზოგადი განათლების ატესტატთან გათანაბრებული დიპლომის გაცემით, რაც სწავლის უმაღლესი განათლების საფეხურზე გაგრძელების შესაძლებლობას იძლევა. ასევე, აღსანიშნავია, რომ წელს „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ ინტეგრირებულ პროგრამებზე დარეგისტრირებულ აპლიკანტთა რაოდენობა გაორმაგებულია. პრეზენტაციის ფარგლებში, მოეწყო კოლეჯის პროფესიული სტუდენტების პრაქტიკული პროექტების ჩვენება, კომპლექსური დავალებების შედეგად შექმნილი ნამუშევრების წარდგენა. სამწლიანი პროგრამის ფარგლებში, სტუდენტებმა პროფესიის პარალელურად მიიღეს სრული ზოგადი განათლება.

2024 წლის 21 ივნისს, სპორტის კლუბის ფარგლებში, კოლეჯში ფეხბურთის შიდა ჩემპიონატი გაიმართა. მასში მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა პროფესიული პროგრამის პროფესიულმა სტუდენტებმა. ტურნირი საინტერესო და დაძაბული აღმოჩნდა. საფეხბურთო ჩემპიონატის გარდამავალი თასი „მსუბუქი ავტომობილის ძრავას შეკეთების" პროფესიულ სტუდენტებს გადაეცათ. დამატებით გამოვლინდა 5 საუკეთესო მოთამაშე, რომლებსაც სპეციალურად მათთვის დამზადებული მედლები გადაეცათ.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ, 1987 წლის 7 დეკემბრის 42/112 რეზოლუციით 26 ივნისი ნარკოტიკებისა და უკანონო ნარკო-ტრფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღედ გამოაცხადა. კოლეჯი შეუერთდა გაეროს ფარგლებში საერთაშორისო დღის აღნიშნვას ანტინარკოტიკული კვირეულის სახით. ამ მიზნით, 2 ივლისს პროფესიული სტუდენტებისთვის ჩატარდა ინტერაქციული შეხვედრა ნარკომანიასა და ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან ბრძოლის შესახებ. ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის წარმომადგენლებმა ახალგაზრდებს გააცნეს ნარკოდანაშაულთან ბრძოლის პოლიტიკა და ნარკოტიკების მოხმარების უარყოფითი შედეგები. შეხვედრის ფარგლებში, 100-მდე პროფესიულ სტუდენტს აუმაღლდა ცნობიერება ნარკოტიკებით გამოწვეული ზიანის შესახებ, რაც დადებითად აისახება მომავალში ნარკოდამოკიდებულთა სტატისტიკის შემცირებაზე და ჯანსაღი ცხოვრების წესის წახალისებაზე.

- **შედეგი: შესრულდა.**

- **ამოცანა** – *პროფორიენტაციის ღონისძიებების ორგანიზება.*
- ✓ **აქტივობა** - *ვიზიტები ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/ „ღია კარის" დღეების/ვირტუალური ტურების ორგანიზება კოლეჯში.*

პროფორიენტაციის ფარგლებში, 2023 - 2024 სასწავლო წლის პერიოდში კოლეჯს სხვადასხვა სკოლის მოსწავლეები ესტუმრნენ როგორც საჯარო, ისე კერძო სკოლებიდან, რომლებმაც დაათვალიერეს კოლეჯის ინფრასტრუქტურა და გაეცნენ კოლეჯში არსებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, მოინახულეს თითოეული პროგრამის სასწავლო სივრცე და მოსინჯეს პრაქტიკული უნარები, მიიღეს ინფორმაცია სამუშაოზე დაფუძნებული, ინტეგრირებული და სასერტიფიკატო პროგრამების შესახებ.

კოლეჯი პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის პროფესიული ორიენტაციის ჩამოყალიბებისთვის სხვადასხვა სერვისის მიწოდებას ახორციელებს. მათ შორის, არის გასვლითი შეხვედრები სკოლებში. კარიერული მხარდაჭერის მომსახურების ფარგლებში, 2023 წლის 29 ნოემბერს, კოლეჯი და ა(ა)იპ - პროფესიული უნარების სააგენტო მიწვეული იყო ქალაქ თბილისის N191 საჯარო სკოლაში მე-9-11 კლასის მოსწავლეებთან პროფორიენტაციის ჩატარების მიზნით. აღნიშნული სკოლა ექსკურსიაზე იმყოფებოდა კოლეჯში რეგისტრაციის პერიოდში და ამ ვიზიტმა დიდი ინტერესი გამოიწვია მოსწავლეებში. ამასთან, აღნიშნულ სკოლაში კოლეჯი საორიენტაციო კურსებსაც ახორციელებდა და გარკვეული ინფორმაცია მათ პროფესიული პროგრამების შესახებ უკვე ჰქონდათ. პროფორიენტაციის მიზნით, კოლეჯის წარმომადგენელმა შეხვედრაზე წარმოადგინა კოლეჯის შესახებ ინფორმაცია პრეზენტაციის სახით და დეტალურად ისაუბრა იმ პროფესიულ საგანმანათლებლო და მომზადება/გადამზადების პროგრამებზე, რომელიც ხორციელდება პსდ-ს მიერ. ასევე, მონაწილეებს დაურიგდათ ბუკლეტები. შეხვედრას ესწრებოდა პროფესიული უნარების სააგენტოს წარმომადგენელი, რომელმაც ისაუბრა სტუდენტურ შესაძლებლობებზე და პროფესიული განათლების მნიშვნელობაზე. ასევე, შესთავაზა სკოლის მოსწავლეებს ექსტრაკურიკულურ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება. შეხვედრა ინტერაქციული ხასიათის იყო და ემსახურებოდა მოსწავლეებში პროფესიული განათლების შესახებ ცნობიერების ამაღლებას და პოპულარიზაციას.

2024 წლის მარტი - ივლისის პერიოდში კოლეჯში სტუმრად იმყოფებოდნენ ასევე სსიპ - ქალაქ თბილისის N72, N167, N173, N177, N143, N69, N115, N136, N220 საჯარო სკოლები და თბილისის საერთაშორისო სკოლა. ვიზიტორები გაეცნენ კოლეჯის პროფილს, საგანმანათლებლო პროგრამებს, დაათვალიერეს აუდიტორიები და სახელოსნოები. მოსწავლეებს მათ მიეცათ საშუალება გარკვეული სპეციალობები თავად მოესინჯათ.

პროფორიენტაციის ფარგლებში კოლეჯის წარმომადგენლები თავად სტუმრობდნენ სსიპ - ქალაქ თბილისის N119, N120, N59, N174, N209, N146, N82, N160 საჯარო სკოლებს, სადაც მოსწავლეებს მიეწოდათ ინფორმაცია პროფესიული განათლების შესახებ.

2023 წლის 24 ნოემბერს, კოლეჯში არსებული საქველმოქმედო კლუბის ფარგლებში, სისხლის უანგარო დონორის აქცია მოეწყო. სისხლის და სისხლის კომპონენტის გადასხმა ყოველწლიურად მილიონობით ადამიანის სიცოცხლის გადარჩენის შესაძლებლობას იძლევა. სისხლის კომპონენტი საჭიროა: ლეიკემიის, ანემიის დიაგნოზის მქონე პაციენტებისთვის, ავტოკატასტროფაში მოხვედრილი დაზარალებულებისთვის, მაღალტექნოლოგიური ქირურგიული ჩარევის დროს და სხვა. ადამიანის სიცოცხლის გადარჩენა და ჯანმრთელობის გაუმჯობესება შესაძლებელია სისხლის გადასხმით. ამ მიზნით, კოლეჯში გაიმართა სისხლის უანგარო დონაციის აქცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს დაწესებულების თანამშრომლებმა და პროფესიულმა სტუდენტემა. მათი მოტივაცია სიცოცხლის გადარჩენა იყო. დონაცია ჩატარდა სრულიად უსაფრთხოდ, შპს „სისხლის გადასხმის საქალაქო სადგურის“ დახმარებით.

აღსანიშნავია, რომ 2024 წლის იანვრიდან აგვისტომდე დადებულია მემორანდუმები პროფორიენტაციის მიზნით 43 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებასთან. ჯამში მარტი-აპრილში პროფორიენტაცია გაეწია 552 მოსწავლეს.

კოლეჯის წარმომადგენლები პროფორიენტაციის მიზნით, იმყოფებოდნენ 8 საჯარო სკოლაში (209-ე; 59-ე; 174-ე; 119-ე; 120-ე; 82-ე; 146-ე და 160-ე საჯარო სკოლები), მათ შორის, წეროვნის N3 საჯარო სკოლაში. ძირითადად ფოკუსჯგუფებს წარმოადგენდნენ მე-9-10 კლასის მოსწავლეები.

პანდემიის დროიდან, კოლეჯის ოფიციალურ საიტზე მოქმედებს ელექტრონული პლატფორმა „სტუმრად კოლეჯში“ - „ღია კარის დღეების“ პრაქტიკა, რაც ნიშნავს, რომ დაწესებულება ღიაა საჯარო და კერძო სკოლებისთვის. „სტუმრად კოლეჯში“ შემეცნებითი და პროფორიენტაციული ხასიათის პროგრამაა, რომლის მიზანია, ერთი მხრივ, პროფესიული განათლებისა და კოლეჯის გაცნობა, ხოლო მეორე მხრივ, მოსწავლეებისათვის სხვადასხვა პროფესიაში საკუთარი ძალების შესაძლებლობების შეთავაზება. „სტუმრად კოლეჯში“ პროგრამის მხარდამჭერი ელექტრონული პლატფორმის საშუალებით, დაინტერესებულ სკოლას წლის ნებისმიერ დროს შესაძლებლობა აქვს გაეცნოს დაწესებულების პროგრამებს და ელექტრონულად გამოთქვას სურვილი (დარეგისტრირდეს) კოლეჯში ვიზიტზე.

- **შედეგი შესრულდა.**

- ✓ **აქტივობა -** *ვებგვერდი/სოციალური ქსელებით რეკლამის წარმოება.*

პროფორიენტაციის ღონისძიებები ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისა და მსმენელებისთვის, აგრეთვე ყველა სხვა დაინტერესებული პირისთვის როგორც ოფიციალური ვებგვერდის, ისე სოციალური ქსელის საშუალებით. ინფორმაციის გაზიარება კოლეჯის საქმიანობისა და სიახლეების შესახებ ხელს უწყობს საზოგადოების ჩართულობას, პროფესიული განათლების პოპულარიზაციას და მოტივაციის ამაღლებას. მუდმივად ახლდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი და იბეჭდება საინფორმაციო ბროშურები კოლეჯში გამოცხადებული პროგრამების შესახებ. ბუკლეტები წარმოდგენილია ყველა საინფორმაციო შეხვედრაზე, ფესტივალზე და გადაეცემათ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებსა და სხვა დაინტერესებულ პირებს.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე რეგისტრაციის გამოცხადების დროს კოლეჯის პოპულარიზაციის მიზნით, დაიბეჭდა სარეკლამო ბროშურები და დამზადდა საიმიჯო პოსტერი. ასევე, შეიქმნა კოლეჯის ბრენდირებული ციფრული კარიკატურა, რომელიც სოციალურ ქსელსა და ვებგვერდზე სხვადასხვა თემატიკის პოსტების გასაფორმებლად გამოიყენება.

2024 წლის 28 მარტს, კოლეჯის ხელმძღვანელი ნოდარ ხარაზიშვილი და „საფინანსო სერვისების“ პროფესიული განათლების მასწავლებელი ბექარ კილასონია მონაწილეობდნენ გადაცემაში „პროფესიული განათლების ნავიგატორი“, რადიო კომერსანტში, თემაზე - რა პროგრამებს სთავაზობს კოლეჯი პროფესიული განათლების მიღებით დაინტერესებულ პირებს.

2024 წლის 26-27 ივნისს, პროექტის „პროფესიული განათლება საქართველოს ეკონომიკის მზარდ სექტორებში“ გუნდის ჩართულობითა და მხარდაჭერით, ჩატარდა ორდღიანი ტრენინგი „პროფესიული სწავლების პროგრამების რეგისტრაციის კამპანიის ხელოვნება“, რომელსაც ათზე მეტი სახელმწიფო პროფესიული კოლეჯის, მათ შორის, კოლეჯის საზოგადოებასთან ურთიერთობებისა და პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერები ესწრებოდნენ. ტრენინგის ფარგლებში მონაწილეებმა აიმაღლეს ის ცოდნა და უნარები, რომლებიც აუცილებელია ეფექტური PR სტრატეგიების შემუშავებისა და განხორციელებისთვის, რაც ხელს შეუწყობს პროფესიული სწავლების პროგრამებზე რეგისტრაციის პოპულარიზაციას. გარდა ამისა, ჩართულმა მხარეებმა განიხილეს გენდერული თანასწორობისა და სოციალური ინკლუზიის საკითხები PR-ისა და კომუნიკაციების აქტივობებში გამოსაყენებლად. პროექტი „პროფესიული განათლება საქართველოს ეკონომიკის მზარდ სექტორებში” გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს (BMZ) დაფინანსებით მიმდინარეობს და მას გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ) ახორციელებს.

2024 წლის 9 ივლისს, კოლეჯის „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის“ მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი ლევან ლომსაძე მონაწილეობდა რადიო კომერსანტის ყოველკვირეულ გადაცემაში - „პროფესიული განათლების ნავიგატორი“, სადაც გადაცემის თემა ეხებოდა პროფესიული განათლების ინტერნაციონალიზაციას.

პროექტის „პროფესიული განათლება საქართველოს ეკონომიკის მზარდ სექტორებში“, გუნდის ჩართულობითა და მხარდაჭერით ათზე მეტი სახელმწიფო პროფესიული კოლეჯის PR სპეციალისტებისთვის ორდღიანი ტრენინგი „პროფესიული სწავლების პროგრამების რეგისტრაციის კამპანიის ხელოვნება“ გაიმართა, ტრენინგის ფარგლებში მონაწილეებმა აიმაღლეს ის ცოდნა და უნარები რომლებიც აუცილებელია ეფექტური სტრატეგიების შემუშავებისა და განხორციელებისთვის რაც ხელს შეუწყობს პროფესიული სწავლების პროგრამებზე რეგისტრაციას და პოპულარიზაციას.

2024 წლის 1 ივლისიდან ამოქმედდა კოლეჯის ოფიციალური „Instagram“ და „TikTok” პლატფორმა, რომელზეც ყოველდღიურად ხდება ინფორმაციის განთავსება და პროფესიული კოლეჯის პოპულარიზაცია.

მიმდინარეობს კოლეჯის ახალი ოფიციალური საიტის ფორმირება თანამედროვე სტანდარტებით, რომელიც სექტემბრიდან ამოქმედდება.

- **შედეგი შესრულდა.**

- ✓ **აქტივობა - პროფესიული განათლების ფესტივალების ორგანიზება/მონაწილეობის მიღება.**

წელს კოლეჯმა Worldskills-ის საქართველოს ეროვნულ კონკურსზე ვებტექნოლოგიის მიმართულებით მონაწილე, პროფესიული სტუდენტი ლილიანა აქიმაშვილი წარადგინა. კონკურსში Worldskills-ში მონაწილეობა ყველა პროფესიის წარმომადგენლისთვის წარმატების საწინდარი და პროფესიული აღიარების გარანტია არის.

კოლეჯმა ასევე მონაწილეობა მიიღო ევროპული განათლების ფონდის (ETF) მიერ გამოცხადებულ კონკურსში მწვანე უნარების მიმართულებით. განაცხადის შეტანის ბოლო ვადა იყო 29 თებერვალი, თუმცა ამ ეტაპისთვის შედეგი ცნობილი არ არის. კონკურსი მიზნად ისახავდა განათლებისა და

დასაქმების სფეროში ინოვაციური იდეებისა და საუკეთესო პრაქტიკის გამოვლენას მწვანე ტრანსფორმაციისა და მდგრადი ეკონომიკის მიმართულებით.

- **შედეგი შესრულდა.**

- **ამოცანა** - *კურსდამთავრებულთა ჩართვა კოლეჯის პოპულარიზაციაში.*
- ✓ **აქტივობა** - *კოლეჯის კურსდამთავრებულების მონაწილეობა „ღია კარის" დღეებში, სხვადასხვა აქტივობებში.*

კურსდამთავრებულებთან მუდმივად ხორციელდება კომუნიკაცია პროფესიული განათლების განვითარებისა და კოლეჯის პოპულარიზაციის მიზნით. მათ პერმანენტულად მიეწოდებათ ინფორმაცია დაწესებულებაში დაგეგმილი განასხორციელებელი სხვადასხვა ღონისძიების შესახებ და დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, ყოველთვის ეგზავნებათ ინფორმაცია. კოლეჯში შეიქმნა კურსდამთავრებულთა კლუბი, რომლის ფარგლებშიც, ვიწვევთ წარმატებულ კურსდამთავრებულებს მოქმედ პროფესიულ სტუდენტებთან შეხვედრისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით.

მნიშვნელოვანია კურსდამთავრებულების ჩართვა კოლეჯის პოპულარიზაციაში. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“, კურსდამთავრებულების მიერ ჩატარდა გლდანის ტბის კვლევა. GPS ხელსაწყოს გამოყენებით შეიქმნა საკოორდინატო სისტემა გლდანის ტბის არეალზე - გეგმიური, X და Y საკოორდინატო სიბრტყული და სიმაღლური, Z (ზალტიის ზღვის დონეზე) ქსელის მეშვეობით. მითითებულ წერტილებზე განთავსდა ტაქეომეტრი, რომლის გაორიენტირების შემდეგ, აიგეგმა გლდანის ტბის მთელი არეალი, ტბის სანაპირო ზოლი და ფსკერი. ასევე აგეგმვის პროცესში მიკვლეულ იქნა ტბის აუზში შემავალი და გამავალი არხები. საველე სამუშაოებიდან მიღებული ინფორმაცია დამუშავდა კამერალურად სპეციალური პროგრამებით, რის შედეგადაც მომზადდა სიტუაციური ნახაზები, ტბის პროფილის ამსახველი და ტოპოგრაფიული გეგმები. მისი დაშრობა-დაკარგვის საშიშროებაზე საზოგადოებრივი მაუწყებლობის მიერ, გადაცემა „რეალური სივრცისთვის“ მომზადდა სპეციალური სიუჟეტი.

2023 წლის რეგისტრაციის პერიოდში, საზოგადოებრივი მაუწყებლი ეთერში გავიდა რეპორტაჟი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე გაზრდილი მოთხოვნის შესახებ, სადაც ერთ-ერთი წარმატებული კურსდამთავრებული ანნა ყველაშვილი საუბრობდა კოლეჯის მიერ ხარისხიანი განათლების განხორციელებაზე.

კოლეჯი მუდმივად ცდილობს, წარმატებული კურსდამთავრებულები ჩართოს კოლეჯის საქმიანობაში. ამ მხრივ, აღსანიშნავია, რომ შერჩევის კომისიები ძირითადად კომპლექტდება იმ პარტნიორი ორგანიზაციებით, რომლებიც წარმოდგენილები არიან კოლეჯის დასაქმებული კურსდამთვრებულებით.

2024 წლის 19 ივლისს, კოლეჯში მოეწყო ღია კარის დღე ახლადჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისთვის. ღონისძიებაზე მოწვეულები იყვნენ სხვადასხვა პროგრამის კურსდამთავრებული, რომლებმაც გამოცდილება გაუზიარეს მომავალ სტუდენტებს და უპასუხეს დასმულ შეკითხვებს კოლეჯში სწავლებასა და დასაქმების პერსპექტივებთან დაკავშირებით.

კოლეჯში ფუნქციონირებს ე.წ. „კურსდამთავრებულთა კლუბი“, რომლის ფარგლებშიც, მუდმივად ხდება წარმატებული ისტორიების გაზიარება და კურსდამთავრებულებისა და მოქმედი სტუდენტების პროფესიული დაკავშირება. კურსდამთავრებულების ჩართვა პროფესიული განათლების პოპულარიზაციის ერთ-ერთი მთავარი ბერკეტია.

- **შედეგი შესრულდა.**

- **ამოცანა** - *კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობა.*
- ✓ **აქტივობა** - *ვაკანსიების მოძიება, კურსდამთავრებულთა ინფორმირება და რეკომენდაციის გაცემა.*

კოლეჯისა და სხვადასხვა ორგანიზაციების პარტნიორობის ფარგლებში, დაწესებულების ოფიციალურ ელ-ფოსტაზე მუდმივად იგზავნება ვაკანსიები, რომელიც ქვეყნდება სპეციალურად შექმნილ ფეისბუქ გვერდზე - ვაკანსიები პროფესიული სტუდენტებისთვის. 2023 წლის აგვისტოდან დღემდე გამოქვეყნდა შემდეგი ორგანიზაციის ვაკანსიები: შპს საქართველოს დისტრიბუცია და ლოგისტიკა ჯიდიელი (ყოფილი თელიანი თრეიდინგი), კომპანია „ფაფანაკი“ (ეროვნული სამოსის ბრენდი), სამკერვალო ჟაკეტი, შპს „პრომოუტერი", შპს „ტელეომედი“, სს „ელიტ ელექტრონიქსი“ საყოფაცხოვრებო ელექტრო ტექნიკის ყველაზე დიდი ქსელი საქართველოში, სარეკლამო საწარმო FANDI, სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“, გრინვეი, საწარმო "ვუდმასტერი", შპს „დიო“, „თიბისი ფეი“, „მეგა ჰოლდინგი“, „კარფური“, „მაქსსერვისი", „სპარი“, შპს „აგროტექნო“, შპს „ნიუ პოინტი“, „თეგეტა მოტორსი“, „შემეცნების სახლი“, „აგროჰაბი“, „სქროლი“, პარტნიორი სარეკლამო კომპანია „FLEXMEDIA’’, „გეფა“, „ფაბრიკა 1900“, „გზაჯვარედინი“ და ა.შ. ამასთან, კონკრეტულ ვაკანსიებზე პროფესიული განათლების მასწავლებლის რეკომენდაციით ხდება კურსდამთავრებულთან დაკავშირება და დასაქმების ხელშეწყობა.

- **შედეგი შესრულდა.**

სტრატეგიული მიზანი VII - სასწავლო პროცესის ხარისხის განვითარება და სასწავლო პროცესში ინოვაციების დანერგვა.

- **ამოცანა** - *საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, საზღვარგარეთის კოლეჯებთან თანამშრომლობა.*
- **აქტივობა - საერთაშორისო ორგანიზაციებთან/საზღვარგარეთის კოლეჯებთან კონტაქტის დამყარება/თანამშრომლობა აქტივობა - გაცვლითი პროგრამების განსახორციელებლად გამოცდილების გაზიარება.**

კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზციასთან. საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში, 2023 წლის 21 დეკემბერს განხორციელდა ონლაინ შეხვედრა საერთაშორისო ორგანიზაცია Hwpl-თან. Hwpl დაარსდა გლობალური მშვიდობისა და ომის შეწყვეტისთვის 2013 წელს. ასევე, ის არის არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელსაც აქვს სპეციალური საკონსულტაციო სტატუსი გაეროს ECOSOC-თან და წარმოადგენს გაეროს DGC-სა და სეულის მეტროპოლიტენის მთავრობას. ორგანიზაცია თანამშრომლობს მსოფლიოს 170 ქვეყანასთან.

HWPL Peace Education-ის ხედვაა სტუდენტების განათლება და ნიჭიერი პიროვნებების აღზრდა მშვიდობის ღირებულებების მიმართულებით. HWPL Peace Education არის ინოვაციური განათლება, რომელიც ემსახურება მშვიდობის გავრცელებას და სხვადასხვა კულტურებს შორის მეგობრობის ჩამოყალიბებას. ორგანიზაციასთან მოლაპარაკებები გრძელდება, იგეგმება წარმომადგენლების ვიზიტიც კოლეჯში.

გაცვლითი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, ამ ეტაპზე არ ხორციელდება, თუმცა ამ მიზნით, კოლეჯი მზადაა, კანონმდებლობის შესაბამისად, ჩაერთოს სხვადასხვა პროექტებში. კოლეჯის ხელმძღვანელი 2023 წლის დეკემბერს დაესწრო „ერაზმუს+ის გაცნობით ვებინარს - პროფესიული განათლების და გადამზადებების სექტორში“. შეხვედრა მოიცავდა დაფინანსების შესაძლებლობების მიმოხილვას, პროგრამის მიზნებისა და პრიორიტეტების გაცნობას. სემინარი განკუთვნილი იყო საჯარო და კერძო ინსტიტუციებისა და ასოციაციებისთვის, რომლებიც მუშაობენ ფორმალური და არაფორმალური საგანმანათლებლო მიდგომებით.

იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოს (JICA) ინიციატივით, კოლეჯმა შეავსო განაცხადი იაპონელი მოხალისე გრაფიკული დიზაინერის სტაჟირების განხორციელების მიზნით. ორგანიზაცია საქართველოში და მსოფლიოს 98 ქვეყანაში აწარმოებს სხვადასხვა სპეციალიზაციის

იაპონელი მოხალისეების სამუშაო სტაჟირებით მივლინებას (სტაჟირების პერიოდი შეიძლება იყოს 2 წლამდე, აღნიშნული პროექტის განხორციელება ხელს შეუწყობს იაპონიაში არსებული გამოცდილების, ტექნოლოგიების სხვადასხვა ქვეყნებისთვის გადაცემასა და, ასევე, ორი ქვეყნის კულტურულ დაახლოებას.

კოლეჯის ოფიციალური ფეისბუქ გვერდის მეშვეობით, პროფესიულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს მიეწოდათ ინფორმაცია, მიმდინარე წლის 7 აპრილს განათლების საერთაშორისო გამოფენის ჩატარების შესახებ. გამოფენა ჩატარდა მათთვის, ვინც დაინტერესებული იყო საზღვარგარეთ სწავლით, სტიპენდიებისა და გრანტების მიღებით, საზაფხულო სკოლებით, მოკლევადიანი კურსებით და სხვადასხვა სასწავლო პროგრამით. გამოფენაში მონაწილეობა მიიღეს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის სასწავლებლებმა. აღნიშნული გამოფენის საშუალებით დაინტერესებულ პირებს მიეცათ უნიკალური შესაძლებლობა, პირისპირ გასაუბრებოდნენ უმაღლესი სასწავლებლებისა წარმომადგენლებს და მიეღოთ ამომწურავი ინფორმაცია მათთვის საინტერესო ყველა კითხვაზე.

2024 წლის 15 მაისს, კოლეჯმა ბელგიიდან ჩამოსულ დელეგაციას უმასპინძლა. შეხვედრა მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) საქართველოს წარმომადგენლობის შუამდგომლობით შედგა. ვიზიტის მიზანი იყო ბელგიიდან საქართველოში ნებაყოფლობით დაბრუნების პროგრამის მონიტორინგი და მომავალი თანამშრომლობის შესაძლებლობის შეფასება. ვიზიტის ფარგლებში დელეგაციის წევრების ინტერესის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენდა ქართველი მიგრანტების დასაქმებისა და პროფესიული მომზადება-გადამზადების შესაძლებლობების განსაზღვრა სამშობლოში დაბრუნების შემდეგ. სტუმრები გაეცნენ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, კოლეჯის ინფრასტრუქტურას, ლაბორატორიასა და სახელოსნოებს, დაათვალიერეს ფაბლაბი და საგამოფენო სივრცეები. კოლეჯი ხელს უწყობს საერთაშორისო პარტნიორობის განვითარებას და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს/პირებს სთავაზობს თანამშრომლობას შესაძლებლობების ფარგლებში.

2024 წლის 10-11 ივნისს, ა(ა)იპ - პროფესიული უნარების სააგენტოში გაიმართა შეხვედრა ინტერნაციონალიზაციის შესახებ, სადაც გაიცა კონკრეტული რეკომენდაციები საერთაშორისო ურთიერთობების გაღრმავებასა და სასწავლო პროცესში ინოვაციების დანერგვასთან დაკავშირებით. შეხვედრის ფარგლებში, მოხდა ერასმუს+ პროგრამების გაცნობა, გაიცა გაცვლითი პროგრამების განხორციელებისა და უცხოელ პარტნიორებთან თანამშრომლობის ზოგადი რეკომენდაციები.

პროფესიული განათლების ინტერნაციონალიზაციის ფარგლებში, კოლეჯის 2 პროფესიული განათლების მასწავლებელი, დავითი სოლომნიშვილი და ლევან ლომსაძე საერთაშორისო სასწავლო ვიზიტით იმყოფებოდნენ ლატვიაში კვალიფიკაციის ამაღლებისა და მშენებლობის მიმართულებით. Vidzemes Tehnoloģiju un Dizaina Tehnikums - ის პარტნიორ პროფესიულ კოლეჯში მასწავლებლები ჩაერთნენ უშუალოდ საგაკვეთილო პროცესში, გაესაუბრნენ კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებს და შეხვდნენ ლატვიელ კოლეგებს. ასევე, ეწვივნენ კოლეჯის ბაზაზე არსებულ ლაბორატორიებს. ადგილზე იხილეს საწარმოო პროცესი, გაიცნეს ადგილობრივი კოლეგები და გაიზიარეს საუკეთესო პრაქტიკის მაგალითები. დარგობრივი პედაგოგიკის მიმართულებით ცოდნისა და ინოვაციების გაზიარების მიზნით, 19 ივლისს მოეწყო პროექტში გამარჯვებული პროფესიული განათლების მასწავლებლების შეხვედრა კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და მასწავლებლებთან.

- **შედეგი ნაწილობრივ შესრულდა.**